ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 სექტემბერი 2006 №205 (2827) ფასი 50 თეთრი

ძოგა ინასარიძე კიევიდან

ყველაფერი შეიძლება მოხდეს

პრაქტიკულად ფვიმს, თეორიულად დარია

პაველ ქუჩაბიძე კიევიდან

კლაუს ტოპმიოლერს საქართველოს ნაკრები გუშინ ექსკურსიაზე უნდა წაეყვანა, მაგრამ კიევში ისეთი უჟმური ამინდია, ექსკურსიის ყოველგვარი სურვილი გიქრება. კიევში გუშინ, ნაშუადღევს, ტემპერატურა სულ 12 გრადუსი იყო და პერიოდულად თავსხმაც მოდიოდა. მოკლედ, ეროვნულ გუნდს გასეირნება არ გამოუვიდა, მწვრთნელმაც დამატებითი თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა შეგირდებს. საღამოს კი მან ჟურნალისტებისთვის მოიცალა და ვიდრე გუნდი „ოლიმპიისკიზე“ შვიდ საათზე სავარჯიშოდ წავიდოდა, პრესკონფერენცია გამართა...

— უკრაინის ძალა კარგად ვიცით, მსოფლიოს ჩემპიონატზე რვა საუკეთესოს შორის მოხვედრა მშვენიერი შედეგია. ჩვენი ჯგუფი ძალიან ძლიერია, მაგრამ ბიჭებს ვუთხარი, რომ ამ ჯგუფში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და პირველი სენსაციაც უკვე ვნახეთ — იტალიამ შინ ლიტვას ვერ მოუგო.

— შესაძლოა, უკრაინისთვის ეს მატჩი უფრო მძიმე იყოს, ვიდრე ჩვენთვის, რადგან ბლოხინის გუნდი მუნდიალის შემდეგ პირველ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, ჩვენ კი შესარჩევში ორი მატჩი მოვილიეთ. ვეცდებით, სამი ქულა ავიღოთ.

— კალაძისა და ცქიტიშვილის შეცვლა ძნელია და ეს ფრანგებთან თამაშშიც გამოჩნდა. 2 სექტემბრის მატჩის ფირი ვნახეთ და შეცდომები გავანალიზეთ.

— უკრაინის ნაკრებზე ინფორმაციის მეტი რა მაქვს. მუნდიალზე მათი ყველა შეხვედრა ვნახე, ასევე ვუყურე აზერბაიჯანთან ამხანაგურ დაპირისპირებას. საქართველოს ნაკრები კარგადაა მოშზადებული ხვალინდელი მატჩისთვის.

— ანდრეი შევჩენკო იმდენად დიდი ფეხბურთელია, რომ შესაძლოა, რამდენიმე კვირის წინ ფორმაში ვერ იყო, მაგრამ ადაპტაციას სწრაფად გაივლის „ჩელსიში“ და მალე ჩვეულად ათამაშდება.

— დავაყენებ თუ არა კარში გრიგოლ ჭანტურიას? შემადგენლობაზე არაფერს ვიტყვი და ამაზე ნულარ შემეკითხებით. ფრანგებთან მატჩის შემდეგ არც ერთი ჩემი ფეხბურთელი არ გამიკრიტიკებია. საერთოდ, ამას თუ ვაკეთებ, მხოლოდ წინასწარი შეთანხმების შემდეგ.

— ოლეგ ბლოხინი ტოპ-კლასის ფეხბურთელი იყო და მის მიმართ დიდი სიმპათიები მაქვს. უკრაინა რომ მუნდიალის მეოთხედფინალში გავიდა, რა თქმა უნდა, მწვრთნელის დამსახურებაცაა.

— საქართველოს ნაკრები სწორ გზაზე დგას. კვირიდან კვირამდე გვეტყობა პროგრესი. ეს გამოჩინა პარაგვაისთან ამხანაგურმა მატჩმაც და ფრანგებთანაც იყო ეპიზოდები, როცა გუნდის თამაში მაკმაყოფილებდა. მოკლედ, თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ...

ფაჩულია შეგვრჩა

ვაჩა დოლიძეაშვილის ფოტო

თბილისიდან გუშინწინ გამგზავრებულ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს ავსტრიაში კარგი ამბავი დახვდა. ლუქსემბურგელ ელვინ ჯონსთან ნაჩხუბარი ზაზა ფაჩულია ფიბას დისციპლინარებმა დაინდეს, მხოლოდ ფულადი ჯარიმა აკმარეს და ევროსაკვალიფიკაციოს მომდევნო მატჩში თამაშის ნება დართეს.

ქართველთა კანადელი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი კი ამბობდა, ფაჩულიას არყოფნა დიდად არ დაგვეტყობა, გუნდი შეკრულ-შეთამაშებულიაო, მაგრამ ქომაგთა უმრავლესობა მაინც დარდობდა ატლანტელი ცენტრის სავარაუდო დანაკლისს. თუმც ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდა და საქართველოს ნაკრები ზაზა ფაჩულიასთან ერთად ეცდება ავსტრიელთა სტუმრად დამარცხებას.

მატჩი დღეს საღამოს თბილისის დროით 22.20 საათზე დაიწყება. პირდაპირი ტრანსლაციის ნახვა კი საზოგადოებრივ არხზე შეგეძლებათ.

ჰერბერტ ცანკერის მეორე მეორე

გუშინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ოთხთა ტურნირის ბოლო, მესამე მატჩი მასპინძელ საბერძნეთთან 0:1 წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

მანამდე ჰერბერტ ცანკერის ბიჭებმა ორი შეხვედრა მოიგეს — საბერძნეთის რეგიონთა ნაკრებთან (1:0) და მალტელ თანატოლებთან (3:2).

გუშინდელი მატჩი კი ძალიან დაძაბული გამოდგა და მასპინძლებმა თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრეღა შეძლეს ჩვენების გატეხვა.

შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში თბილისში გასამართი ევროშესარჩევი ტურნირის მოსამზადებელი ეტაპზე ცანკერის გუნდმა პალანგის ტურნირშიც ითამაშა, სადაც ასევე ფინალში დამარცხდა რუსეთთან — 1:2.

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ყველაფერი შეიძლება მოხდეს

პრაქტიკულად წვიმს, თეორიულად დარია

ტოპმიოლერამდე კი უკრაინის ნაკრების მწვრთნელმა *ოლეგ ბლოხინმა* „კონჩა ზასპაზე" ისტუმრა ჟურნალისტები, თუმცა დიდად საინტერესო არც არაფერი უთქვამს...

— საქართველოს ნაკრებზე ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივი. უკვე ვნახეთ ფარერებ — საქართველოს და საქართველო — საფრანგეთის მატჩების ფირები. კლაუს ტოპმიოლერს გუნდის სათამაშო სქემა კი შეუცვლია, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ საქართველო ჩვენთანაც ისე ითამაშებს, როგორც ეს ფრანგებთან იყო.

— თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ანდრეი შევჩენკო აუცილებლად ითამაშებს. როცა ის „მილანიდან" „ჩელსიში" გადავიდა, ფორმიდან ამოვარდა, მაგრამ ახლა საუკეთესო ფორმაშია, დიდი მონდომებით ვარჯიშობს და ემზადება ქართველებთან შეხვედრისთვის.

— კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, ამიტომაც საქართველოს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვუგოთ, რისთვისაც ქომაგობა გვჭირდება და იმედია, მატჩისას სტადიონი გაივსება.

— ჩვენს ნაკრებში ძალიან კარგი სიტუაციაა და ძალიან გთხოვთ, დედოვშინაზე და ასეთ სისულელეებზე მეტს ნურაფერს მკითხავთ...

ჩვენი უკრაინელი კოლეგები ამტკიცებენ, ნაკრებში დედოვშინაა და შევჩენკოს, შოვკოვსკის და გუსინს გუნდში ცუდი ტონი შეაქვთო. მერე ეს ყველაფერი მეკარე შოვკოვსკიმ, ცხადია, უარყო, თუმცა ჩანს, ამ საქმეს ალბათ სკანდალური გაგრძელებაც მოჰყვება. მეტოქის ბანაკში მსგავსი ამბავი, რა თქმა უნდა, ჩვენების წისქვილზე ასხამს წყალს. სხვათა შორის, ორიოდ დღის წინ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ალექსეი მიხალიჩენკომ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ალექსანდრ ალიევი გააგდო გუნდიდან. მას ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე ნახევარი საათი დაუგვიანია და მწვრთნელმაც არ აპატია.

მოკლედ, უკრაინის ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებში მთლად დალაგებული ვითარება არ არის...

ბაბელ კუბანოვი კიევიდან

დავით მუჯირს (მარცხნივ) უკრაინაში უკრაინელები დაყვირდებიან: მისით დონეცკის „შახტარი" დაინტერესებულა

საღამოს კი დახურულ ვარჯიშამდე დრო ვიხელთე და ჩვენების კაპიტან *ლევან კობიაშვილს* გამოველაპარაკე, რომელსაც სადღეისო თამაშის გარდა, ცხადია, საფრანგეთთან მატჩზეც ვკითხე და ვფიქრობ, საინტერესო ამბებიც გავიგე...

— ძალიან სამწუხაროა, რომ საფრანგეთთან ულაპარაკოდ წავაგეთ, საფრანგეთმა აშკარად გვაჯობა. თანაც მატჩი მეტოქისთვის იდეალურად დაიწყო, 16 წუთში უკვე 0:2 იყო და ფსიქოლოგიურადაც გავტყდით. ჯერ ისე გვქონდა მცირე შანსი და ასეთი ანგარიში მერე უკვე ყველა იმედი გადაგვეწურა. თუმცა დიდი მადლობა მსურს ვუთხრა ქომაგს, ვინც ბოლომდე ჩვენთან იყო და მაქსიმალურად გვამხნევებდა. ასეთი ქომაგობა საქართველოში აქამდე, მგონი, არ ყოფილა, მადლობა საფრანგეთის ნაკრებსაც, რომელმაც დაგვანახა, თუ როგორ უნდა ითამაშო სწორი ფეხბურთი.

— საქართველოს ნაკრები საფრანგეთისგან ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან შორსაა. დღესაც კი მიკვირს, როგორ ვერ გახდა ეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი.

— საფრანგეთთან დავალება მქონდა, რომ ჩამშლელი ნახევარმცველის ფუნქცია შემესრულებინა. ცხადია, საკუთარი თამაშით უკმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემთვის ძნელია, როცა თითქმის ყოველ მატჩში სათამაშო პოზიციას მიცვლიან. კლუბში თუ ნაკრებში სტაბილური ადგილი არ მაქვს — ხან დაცვის ფლანგზე ვარ, ხან ნახევარდაცვის, თავდამსხმელების უკანაც მათამაშებენ ხოლმე და ჩამშლელადაც. ძალიან ძნელია ერთი პოზიციიდან მეორეზე ასე ხშირად გადართვა. თუმცა ამ სიტყვებს ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ცუდი თამაშის შემდეგ რაიმე გამართლებას ვეძებდე.

— რა თქმა უნდა, უკრაინასთან უკეთეს თამაშსა და დადებით შედეგს ველი. მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ სამი ქულა — აი, რისთვის ვართ ჩამოსულნი კიევში. კარგად მახსოვს წინა შესარჩევ ჯგუფში უკრაინასთან ლვოვის მატჩი. მაშინ ჩვენ მასპინძლებს თამაშით აშკარად ვაჯობეთ, თუმცა რად გინდა, შედეგი ცუდი გვქონდა — 0:2 წავაგეთ. კარგი იქნება უკრაინასთან ახლაც კარგად თუ ვითამაშებთ და მოვიგებთ. თუმცა ყველანაირი მოგება ძალიან გამახარებს. ამის შანსები კი ჩვენს ნაკრებს, ცხადია, აქვს. უკრაინა ჩვენთვის დაუმარცხებელი გუნდი სულაც არ არის, არადა, აქამდე ამ ნაკრებისთვის თამაში არ მოგვიგია...

ბაადრი კვეზელაძის ფოტო

დღევანდელ მატჩზე ბევრ უცხოელ აგენტსა თუ მწვრთნელს ელიან. გავიგეთ, რომ რამდენიმე ქართველ ფეხბურთელზე დასაკვირვებლად ინგლისიდან და თურქეთიდან ჩამოდიან, ხოლო დონეცკის „შახტარის" უფროსობას კონკრეტულად დავით მუჯირი აინტერესებს, რუსულ პრემიერლიგაში თავგამოჩენილ ნახევარმცველს უკრაინის ამ გრანდმა დაადგა თვალი.

კიევში უკვე ჩამოვიდა ცნობილი მომღერალი ირაკლი ფირცხალავა და მოსკოვიდან ქართველებს კიდევ მრავლად ელიან. უკვე აქ მყოფებმა კი „ოლიმპიისკის" ერთ სექტორზე საქართველოს დიდი დროშა გამოფინეს.

მატჩზე დასასწრები ბილეთები 15-დან 50 გრივნამდე ღირს, ჯერჯერობით სალაროებთან რიგები არაა. მატჩი ჩვენი დროით 20 საათზე დაიწყება.



ბაბელ კუბანოვი კიევიდან

უკრაინის შსს: დღეს ანშლაგი ვერ იქნება

დღეს უკრაინა — საქართველოა და საინტერესოა, რა მდგომარეობაშია სტადიონი „ოლიმპიისკი". სტადიონის დირექტორ სერგეი დემიდოვის თქმით, მოსამზადებელი სამუშაოები თითქმის დასრულებულია...

„მინდორი კარგ მდგომარეობაშია. ორიოდ დღის წინ მოედნის ზედაპირი გავასწორეთ და ვფიქრობ, გუნდები კმაყოფილნი დარჩებიან."

პრობლემები აქვთ უკრაინელებს უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით — საქმე ისაა, რომ უსაფრთხოების არასაკმარისი გარანტიების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო მეორე იარუსის ბილეთების გაყიდვით უფლებას არ იძლევა.

„ბილეთები მხოლოდ პირველ იარუსზე იყიდება. საევაკუაციო სისტემის არქონის გამო უფლება გვაქვს, სტადიონი სანახევროდ შევავსოთ. თუ ამ მატჩის ნახვას 45 ათასზე მეტი გულშემატკივარი მოინდომებს, საგანგებო ნებართვა დაგვჭირდება, რომელიც არ გვაქვს" — განაცხადა დემიდოვმა.

ძახა შალამბერიძე

ევროპის 2007 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

II ჯგუფი	X ჯგუფი
ესპანეთი 4:2 სლოვაკეთი	გერმანია 5:1 რუმინეთი
V ჯგუფი	**XI ჯგუფი**
იტალია 1:0 ავსტრია	დანია 0:2 შვედეთი
VII ჯგუფი	**XIV ჯგუფი**
პორტუგალია 2:0 პოლონეთი	საფრანგეთი 2:0 სლოვენია

ამსანაგური მატჩი

უელსი 0:2 ბრაზილია

არჩილ არველაძე: დარწმუნებული ვარ, ბლოხინიც დარწმუნდება

არჩილ არველაძის კიევში ჩასვლამ იქაური ჟურნალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია. თბილისის „დინამოს“, თურქული „ტრაბზონსფორის“, ჰოლანდიური „ბრედას“ და გერმანული „კიოლნის“ ყოფილი თავდამსხმელი საქართველოს ნაკრებს საქმაგოდ გაჰყვა კიევში და უკრაინულ „სპორტ-ექსპრესსაც“ ვრცელი ინტერვიუ მისცა...

ბურთის დოლიანობისადმი ფოტო

— დარწმუნებული იყავით, ფრანგებთან წაგება ჩვენს ნაკრებს ვერ გატეხავს. ჩვენ უბრალოდ არ გაგვიმართლა იმ მატჩში — თავიდანვე ორი სულელური ბურთი გავუშვით და ასეთ მეტოქესთან ეს სერიოზული ფორაა. ამის მიუხედავად, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, რამდენიმე რეალური მომენტიც შექმნეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ამით იმას სულაც არ ვამბობ, ის მომენტები რომ გამოგვყენებინა, უეჭველად მოვიგებდითო. შესაძლოა მაინც წაგვეგო, ოღონდ არა ამ ანგარიშით.

— პირველ ორ გოლში მეკარე გრიგოლ ჭანტურიას ადანაშაულებენ...

— პირველ გოლზე დაგეთანხმებით. შორიდან დარტყმული იყო და მეკარეს რეაგირება დროულად უნდა მოეხდინა. მეორეზე კი ჭანტურია რთულ სიტუაციაში იყო — საა მასთან პირისპირ გავიდა... რა თქმა უნდა, ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ალბათ ჭანტურიასაც აქვს თავისი არგუმენტები. მე მას თამაშის მერე შევხვდი და ვეცადე, ის გოლები საერთოდ არ მეხსენებინა. ისედაც ვხედავდი, როგორ განიცდიდა ის თავისი შეცდომების გამო. შოკში იყო. თუმცა არა მხოლოდ ის — ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო და გამოცდილი მოთამაშე მალხაზ ასათიანიც ძნელი დასამშვიდებელი იყო. როგორია, მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბრმა ავტოგოლს რომ გაიტან?! თამაშის მერე მთელი გუნდი უხასიათოდ იყო, მაგრამ ახლა ეს უკვე დავისწებულია. თითქმის ყველასთან მოვახერხე გამოლაპარაკება და ყველა მოგებაზე ფიქრობს. დამიჯერეთ: კიევში სულ სხვა გუნდს ნახავთ!

— კარგად მახსოვს, ორი წლის წინ ლვოვში უკრაინასთან წაგება როგორ მძიმედ გადაიტანა თქვენმა ძმამ შოთამ...

— ის ახლაც გაწბილებული იყო, ადგილს ვერ პოულობდა. ერთი მხრივ, ხვდები, რომ საფრანგეთი მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებია, მეორე მხრივ კი, ჩემს ძმას ძალიან არ უყვარს წაგება. თან შოთას საფრანგეთთან თამაშში განსაკუთრებით უჭირდა — იგი ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი იყო.

— ხომ არ აჭარბებთ, საფრანგეთს მსოფლიოს საუკეთესო გუნდად რომ მოიხსენიებთ?

— სულაც არა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იტალიასთან წაგების მიუხედავად, საფრანგეთს მაინც საუკეთესოდ მივიჩნევ. ეს გუნდი ტაქტიკურად ძალიან გამართულია და თან მრავალფეროვნად თამაშობს, რასაც იტალიაზე ვერ ვიტყვი. ვფიქრობ. ლიტვამაც დამსახურებულად აართვა ქულა იტალიას.

— საქართველოს ნაკრებს დავუბრუნდეთ. ფრანგებთან თამაშის მერე კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი დაასვენა?

— დიახ, ბიჭები ერთი დღით შინაც გაუშვა.

— ჩავთვალოთ, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები გუნდს აღარ აწუხებს. ტრავმები?

— კახა კალაძე თბილისში ჩამოვიდა, ბიჭები გაამხნევა, უქმაგა და მკურნალობის კურსის გასაგრძელებლად ისევ მილანში დაბრუნდა. სამწუხაროდ, მას ტრავმა ჯერაც აწუხებს. სხვები კი კარგად არიან... ისე, როგორც გავიგე, პრობლემები თქვენც გაქვთ — შევჩენკო დაშავებულა...

— ეს არ არის მართალი. შევჩენკო ჯანრთელადაა და ამბობს, რომ უეჭველად ითამაშებს...

— მართლა? საქართველოში კი ყველა ამბობდა, ანდრეი ვერ ითამაშებსო. ის თქვენი გუნდისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ნუ გეშინიათ, ჩვენც გვაქვს ჩვენი ძლიერი მხარეები.

— თქვენ, როგორც საქართველოს ნაკრების ქომაგს, არ გაწუხებთ ის ამბავი, რომ ნაკრებში უკრაინის ჩემპიონატის ცხრა წარმომადგენელი გყავთ?

— რატომ უნდა მაწუხებდეს? ვფიქრობ, ჩვენი ბიჭები პროფესიონალები არიან და საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას, რომელი ქვეყნის კლუბი უხდის მათ ფულს. მე სხვა რამ მაწუხებს — უმეტესობას გამოცდილება არ ჰყოფნის. ახალგაზრდები არიან. ადრე, როცა ნაკრებში მეც ვთამაშობდი, გაცილებით მეტი მაღალი დონის ფეხბურთელი გვყავდა — ქეცბაია, ჯამარაული, ცხადაძე, შელია, გახოკიძე, ცქიტიშვილი, ნეძსაძე, ქინქლაძე... სამწუხაროა, რომ ჩვენ მაშინ ვერაფერსაც ვერ მივაღწიეთ. ისე კი, დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭებიც გაიზრდებიან და კარგი ფეხბურთელები დადგებიან. მათ უბრალოდ დრო სჭირდებათ.

— თქვენ დახმარებით ერთ საინტერესო კითხვასაც მივადექით: რატომღაც ის ვარსკვლავური ნაკრები მაშინ ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო. ამბობენ, დისციპლინა არ გივარგოდათ და სწორედ ამიტომ მიიწვიეთ გერმანელი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი...

— არა, უდისციპლინობა არ იყო პრობლემა — ტაქტიკა იყო ჩვენი სისუსტე წლობით. ტოპმიოლერი კი ზუსტად ის ადამიანია, ვისაც ამის გამოსწორება შეუძლია. ამაში ეჭვიც არ მეპარება, რადგან თავადაც ვთამაშობდი ბუნდესლიგაში და ვიცი, რამხელა ავტორიტეტი აქვს ტოპმიოლერს გერმანიაში. შოთასგანაც ვიცი, რომ ტოპმიოლერის მოსვლის მერე ვარჯიშებიც სხვანაირი გახდა.

— გავიგე, თითქოს ტოპმიოლერს ძალიან დიდ თანხას უხდით. მგონი, წელიწადში მილიონ დოლარს...

— რამდენიმე ვერსია გამიგია. კი, დიდ თანხას ამბობენ, მაგრამ, ვფიქრობ, ტოპმიოლერი იმსახურებს ამას.

— თქვენი ნაკრების მცველმა გიორგი შაშიაშვილმა გვითხრა, რომ ტოპმიოლერმა უკვე ხუთი ტაქტიკური სქემა მოსინჯა ნაკრებში...

— მწვრთნელი ძიებაშია და მას დრო სჭირდება, რომ სასურველი ტაქტიკა მოარგოს გუნდს. მის ხელში გუნდი აუცილებლად შეძლებს, რამდენიმე ვარიანტი გამოიყენოს თამაშისას. ვფიქრობ, ამაში ბლოხინიც დარწმუნდება ოთხშაბათს...

geo_geo_fan@hotmail.com

რუბრიკა ღიაა და გუშინ კიდევ ორი წერილი მივიღეთ, რითიც უკრაინასთან წინასამატჩო „კამპანია“ დასრულდა. დღეს უკვე უკრაინა — საქართველოა და ამ მატჩის შემდეგ ისევ ველით თქვენს შთაბეჭდილებებს, აზრებს თუ შენიშვნებს. იმას, რასაც კიევის „ოლიმპიისკიზე“ ნახავთ. იმედით, ხვალამდე...

KAKHNIASHVILI: დიდი ხანია, მინდოდა გამომეთქვა ჩემი აზრი ჩვენს ფეხბურთზე და, კერძოდ, ჩვენს ნაკრებზე.

არ მინდა, თავიდანვე ტოპმიოლერის მკვეთრ კრიტიკაზე გადავიდე, მაგრამ ფაქტია, რომ მან ისეთი თვალშისაცემი შეცდომები დაუშვა, რომელსაც არ მოველოდი ასეთი მაღალი კვალიფიკაციის მწვთნელისგან.

პირველია მაღალი რანგის თამაშში ისეთი გამოუცდელი მეკარის დაყენება, როგორიც ჭანტურიაა (არ ვგულისხმობ ასაკს). შეიძლება, ლომაია ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდეს, მაგრამ მას არც ერთი სანაკრებო მატჩი არ ჩაუგდია.

მეორე შეცდომაც საკმაოდ ელემენტარულია — არ შეიძლება ალადაშვილის მარჯვენა მცველად და გოგუას მარცხენა მცველად დაყენება. ალადაშვილს აშკარად არ ჰყოფნის მცველისთვის საჭირო სიფიცხე. რაც შეეხება მარცხენა მცველს, აქ ნაკრებს დიდი არჩევანი აქვს — კობიაშვილი (პირველ რიგში), კანდელაკი, ან თუნდაც კვირკველია. ვეთანხმები, რომ გოგუას ადგილი მართლაც დაცვაშია, მაგრამ არა მარცხნივ, არამედ მარჯვენა ფლანგზე. გოგუა დიდი დიაპაზონის მოთამაშეა, შრომისუნარიანია, აქვს კარგი სისწრაფე, ძლიერი დარტყმა, საუკეთესო პასი, რაც შეიძლება ერთ-ერთ კოზირად იქცეს გუნდისთვის.

ასევე გაუგებარია, რატომ არ იყენებენ ნაკრებში ამისულაშვილს, რომელიც კალაძის საუკეთესო შემცვლელად მესახება. თუ შაშიაშვილს, მჟავანაძეს და სხვებს აძლევენ შანსს, რატომ არ შეიძლებოდა, მისთვისაც მიეცათ შანსი. ის ხომ ერთ-ერთი სტაბილური მცველი იყო ნაკრებში. ამისულაშვილის გამოსვლით ასათიანს მიეცემოდა საყრდენ ნახევარმცველად თამაშის საშუალება რაც გაამაგრებდა დაცვასაც და უფრო მობილურს გახდიდა ნახევარდაცვასაც.

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ლომაია, გოგუა, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი, კანკავა, ასათიანი, კვირკველია, მუჯირი, დემეტრაძე (ან მარცვალაძე) და არველაძე იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ნაკრებისთვის. აქვე მინდა დავამატო, რომ კარგი იქნება, თუ ნაკრებში თამაშის საშუალებას მისცემენ ახალგაზრდებს — იმედაშვილს, ფოფხაძეს, ღვინიანიძეს, სანდრო იაშვილს და გელაშვილს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ბრძოლისუნარიანობას შემატებენ გუნდს. ნაკრებში თამაშის საშუალება უნდა მიეცეთ დიღმელაშვილსაც, მისი გასაოცარი პასების გამო.

შემადგენლობის არასწორი შერჩევის გარდა არ მომეწონა თამაშის ორგანიზაციას. ყველა ფრანგი ფეხბურთელი უბრძოლველად იღებდა ბურთს, მაშინ, როდესაც საფრანგეთი იმისდა მიუხედავად, რომ ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდია, უბრძოლველად არც ერთი ბურთის მიღების და დამუშავების საშუალებას არ აძლევდნენ ჩვენებს. ჩვენი ნაკრები რატომღაც არ იყენებდა პირველ გრძელ პასს, რომელიც მძლავრ იარაღს წარმოადგენს ისეთი გაჯერებული ნახევარდაცვის წინააღმდეგ, როგორც ფრანგებს ჰყავთ. გაიხსენეთ ჩვენების მატჩი დანიელებთან თბილისში. როგორ გამართული გამოჩნდა გუნდის თამაში მაშინ. ჩვენ ხომ გვყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც კარგად ფლობენ პირველ პასს, მაგალითად, ასათიანი, კალაძე, გოგუა, კობიაშვილი.

გასაკრიტიკებელია ისიც, რომ არ იყო მოძრაობა, კოლექტიური ართმევა, გააზრებული კონტრშეტევები, კომბინაციები. ამის გარეშე წარმოუდგენელია წარმატებაზე ფიქრი, მით უმეტეს, ისეთ მეტოქესთან, როგორიც საფრანგეთია. და ეს ხდებოდა არა მარტო იმიტომ, რომ ამის საშუალება მეტოქემ არ მოგვცა, არამედ იმიტომ, რომ გუნდს არ ჰქონდა დამუშავებული ეს ტაქტიკური ვარიანტები. აბა, გაიხსენეთ, სად იღებდა ბურთს დემეტრაძე ან თუნდაც იაშვილი — თავის ნახევარზე და იქიდან ცდილობდნენ დრიბლინგით მეტოქის ნახევარზე გადასვლას. იმით თავის მართლება, რომ მეტოქე მაღალი კლასის გუნდი იყო და არ მოგვცა ამის საშუალება, არაკორექტულად მიმაჩნია, ვინაიდან გვაქვს კარგი მაგალითი, როცა კლასით დაბალმა „ამერმა“ შეძლო, სწორად აგებული თამაშით ტოლსწორად ეთამაშა „ჰერტასთან“. სხვათა შორის, ასე მიაღწია წარმატებას უკრაინის ნაკრებმაც.

ბოლოს მინდა, მაინც ოპტიმისტურად დავამთავრო. მიუხედავად ჩემი ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებისა, მაინც მჯერა ტოპმიოლერის. ვფიქრობ, იგი ჯერჯერობით კარგად არ არის გარკვეული ქართულ ფეხბურთში და იძულებულია, დაეყრდნოს სხვის რჩევებს, რის გამოც უშვებს შეცდომებს. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მივცეთ მას დრო და არ უნდა მოვთხოვოთ შედეგი უცბად.

ADY404: გაუმარჯოს „სარბიელს“. არ ვიზიარებ იმ პათოსს, რომელიც პრესაში და გულშემატკივრებში შეინიშნება. კერძოდ: „საფრანგეთი რომ მოგვიგებდა, ეს ყველამ ისედაც ვიცოდით.“ თუ ჩვენ ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის სურვილი გვაქვს (და ნამდვილად გვაქვს, აბა, მაშინ რატომ ვხარჯავთ ამდენ ფულს მწვრთნელში?), მაშინ სწორედ საფრანგეთისნაირ გუნდებთან უნდა შეგვეძლოს ტოლ-სწორად თამაში. ვის არ წაუგია, მაგრამ, როცა ასე უშანსოდ და უსუსურად აგებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ფინალური ეტაპისთვის ჯერ მზად არ ხარ. არც ვართ (ჩემი მოკლე ჭკუით). ვთვლი, რომ ამ შესარჩევში ჩვენთვის მესამე ადგილი წარმატების ტოლფასი იქნება. პროგრამა მინიმუმი კი მეოთხე ადგილი უნდა იყოს. ნელნელა მივყვეთ საკეთებელს. თბილისი ერთ დღეში არ აშენებულა. როგორც ტავარიშ საახოვი იტყოდა: „ტარაპიტსა ნი ნადა“.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ისტორიის გამეორების გამეორება

ლილიან ტურამი: თბილისში მუნდიალი დაგვეხმარა

დღეს მუნდიალის ფინალის გამეორებაა. წარმოგვიდგენია, როგორი შურისძიების ჟინით ელის პარიზის „სენ დენი“ იტალიასთან თამაშს — არა, საფრანგეთმა 3:0-იც რომ მოიგოს, 9 ივლისს ბერლინში წაგებულ მატჩს ვერაფრით გადაწონის, თუმცა... მოკლედ, საფრანგეთი — იტალიაა. საქართველო მაინც სხვაა და ჩვენებთან უზიდანობა „ლურჯებს“ არ დასტყობიათ, მაგრამ „სკუადრასთან“ როგორ იქნება, ძნელი სათქმელია

გადრი კეტელაშვილის ფოტო

რაიმონ დომენეკი ალბათ ზუსტად იმ შემადგენლობას დააყენებს, რომლითაც თბილისში დადგა კონცერტი — ტიერი ანრი კვლავ უკანდაწეულ ფორვარდად ითარეშებს, წინ კი მასზე არანაკლებ ფეხმარდი ლუი საა გაირჯება.

არა გვგონია, ამ რანგის მატჩებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორ ითამაშა იტალიამ ლიტვასთან ოთხი დღის წინ. არადა, ითამაშა საზიზღრად და შედეგიც ასეთი მიიღო — 1:1. ცოტა უნდა იფრთხილოს რობერტო დონადონიმ და არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჯგუფში უკრაინაც ჰყავს, რომელიც ქულების ფანტვას არ აპატიებს. ლიტვასთან შემონახული ჯანლუკა ძამბროტა დღეს ძირითადში იქნება, მის საპირისპირო ფლანგზე კვლავ ფაბიო გროსო იბურთავებს, დაცვის ცენტრს კი კანავარო-ბარძალი გაამაგრებენ.

„საქართველომ აგრესიულად დაიწყო ფრანგებთან მატჩი და 15 წუთში ორი გოლი მიიღო. ჩვენ იგივე შეცდომა არ უნდა გავიმეოროთ, რაციონალურად ვითამაშებთ“ — თქვა დონადონიმ.

სინიორ რობერტოს 4-3-3-მა არ გაამართლა და ელიან, რომ იტალია პარიზში 4-4-2-ს აირჩევს. უკანდაწეულ ფორვარდად ანტონიო კასანო ითამაშებს, წინ კი ფილიპო ინძაგის კი არა, ალბერტო ჯილარდინოს გამოჩენას უფრო ელიან. სავარაუდოდ, ძირითადში იქნება „კიევოს“ მარჯვენა ნახევარმცველი ფრანკო სემიოლი, რომელსაც ასეთი რანგის სანაკრებო მატჩში არასოდეს უთამაშია.

კვლავ ფრანგებს მივუბრუნდეთ. აი, რას ამბობს *ლილიან ტურამი* ტელეარხ „სპორტ 24“-თან ინტერვიუში. ყურადღებით, ტურამი ქართველებთან მატჩზეც ვრცლად საუბრობს...

— საქართველოს იოლად მოუგეთ — 3:0. ეს ის თამაში იყო, რასაც ელოდით?

— მატჩი ძალიან კარგად დავიწყეთ. მუნდიალის შემდეგ პირველ ოფიციალურ შეხვედრას ვატარებდით და გუნდი ამ დროს მეტწილად ძიების პროცესშია, თუმცა კონცენტრაცია წამით არ დაგვიკარგავს. ჩვენ წინააღმდეგ სახიფათო მეტოქე იდგა, თანაც ქართველებს 60 000 ქომაგი უჭერდა მხარს. გავიმართლა, რომ დებიუტშივე გავიტანეთ გოლები.

— დიდი ხანია, საფრანგეთის ნაკრები ასეთი მშვიდი და თავდაჯერებული არ გვინახავს...

— ამაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაგვეხმარა. ჩვენ საქართველოსთან შევინარჩუნეთ ის მთავარი ხაზი, რამაც მუნდიალის ფინალში გაგვიყვანა. ეს კარგია და იმედია, ჯერ მხოლოდ დასაწყისია.

— ქართველებთან უფრო რთულ თამაშს ელოდით?

— სირთულეს ყოველთვის ელი. ჩვენი დამსახურებაა, რომ ძნელი თამაში არ იყო. პირველ ტაიმში ყველაფერი კარგად გამოგვდიოდა. ქართველებმა ბევრი ირბინეს — ეს კი ჩვენ ვაიძულეთ. ბოლო ნახევარ საათში ცოტა ჩოვეშვით, რადგან უნებურად უკვე იტალიასთან მატჩზე ვფიქრობდით.

— გაგიკვირდათ, რომ იტალიამ შინ 1:1 ითამაშა ლიტვასთან?

— დიახ, ძალიან გამიკვირდა.

— როგორ გგონიათ, იტალიის ლიტვასთან ვერმოგება საფრანგეთისთვის კარგია თუ ცუდი?

— სასიამოვნოა, რომ შენი მთავარი მეტოქე არასწორ სვლას აკეთებს, თუმცა ლიტვასთან ფრე უშუალოდ ჩვენთან თამაშისას ძირეულად ვერ შეცვლის იტალიას — მათ მოტივაცია არ დაკლდებათ და ყველაფერს გააკეთებენ პარიზში მოსაგებად, ისევე, როგორც ჩვენ.

— როდესაც საფრანგეთმა ევრო 2000 მოიგო, მომდევნო შესარჩევი ციკლი სიძნელეებით დაიწყო. იქნებ იგივე ემართება იტალიასაც...

— დიახ, ასე იყო, მაშინ ისლანდიაში გაგვიჭირდა. ყოველთვის ძნელია აღზევების შემდეგ მიწაზე დაშვება. ხანდახან გგონია, რომ ყველაფერი ადვილად იქნება... თუმცა იტალიელებს კარგად ვიცნობ და თუ მათაც იგივე სიძნელეები ჰქონდათ ლიტვასთან, ვეჭვობ, ჩვენთან თამაშში კონცენტრაცია არ დაიბრუნონ. მათ სურთ დაამტკიცონ, რომ მსოფლიოში უძლიერესი ნაკრები ჰყავთ, რაც მუნდიალის ფინალში მხოლოდ პენალტების მოგებით ვერ დაამტკიცეს.

— ქართველებთან მატჩში საფრანგეთი ძალიან კარგად გამოიყურებოდა ათლეტურობის მხრივ...

— ასე არ ვფიქრობ. ვიმეორებ, იმანაც გაგვიადვილა საქმე, რომ მალევე გავიტანეთ გოლები. არ ვარ დარწმუნებული, რომ ნაკრები ფიზიკურად ოპტიმალურ ფორმაშია. ვაჯობებთ ამ მხრივ იტალიელებს, სადაც ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა? იმედი მაქვს, ასე იქნება, მაგრამ დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი.

— მოხარული ხართ, რომ ფინალის შემდეგ ასე მალე ხვდებით იტალიას?

— თან კი, თან არა. ვნახოთ, როგორ დამთავრდება მატჩი... ფინალი ჩვენთვის წარსულია, ახლა კი მოთავარი სამი ქულაა შესარჩევ ციკლში.

— და თქვენს მახსოვრობაში წაგებული პენალტების სერია წაიშალა?

— წაიშალა. იტალიასთან ხვალინდელი მატჩი თითქოს გულშემატკივრების თვალში რევაშის აღების საშუალებაა, თუმცა ეს ხომ ასე არაა — მუნდიალის ფინალი სხვაა.

— იმ ფინალის გახსენებისას რა გრძნობა გეუფლებათ?

— უნდა მოგვეგო.

— უილიამ გალასი ფინალზე საუბრისას „ისტორიულ შეცდომას“ ახსენებს. ეთანხმებით?

— არა. სიმართლე ისაა, რომ ჩვენ ვჯობდით იტალიას, უკეთესად ვთამაშობდით. დამატებით დროში მოხდა ინციდენტი, რამაც მატჩის მსვლელობაზე გავლენა მოახდინა. ჩვენ კი ვერ გავიტანეთ გოლი, რომელიც გადამწყვეტ უპირატესობას მოგვიტანდა.

— გინდათ, თქვათ, რომ ფინალი საუკეთესომ ვერ მოიგო?

— ნაუცბათევად რომ გიპასუხოთ, ასეა. სერიოზულად კი, ჩვენ ის ფინალი წავაგეთ.

— ხვალინდელ მატჩში ზიდანი და მატერაცი არ იქნებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ წყნარი თამაში იქნება და რევანშისტული იარლიყი ნაკლებად ექნება?

— არა. რაც მაშინ მოხდა, არ უნდა მომხდარიყო, თუმცა ეს იყო ისტორიის ნაწილი.

— იმ ინციდენტის შესახებ იტალიელ ფეხბურთელებთან არ გილაპარაკიათ? თუნდაც ძამბროტასთან, რომელთან ერთადაც „ბარსელონაში“ თამაშობთ...

— ვილაპარაკეთ. ვფიქრობ, იტალიელებმა იცოდნენ, რომ პენალტებში გაუჭირდებოდათ. თუმცა მათაც შემახსენეს, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ჩვენ ბოლო წუთზე გავუთანაბრეთ ანგარიში. მაშინ ისინი იმსახურებდნენ მოგებას. წლევანდელ მუნდიალზე ისტორია განმეორდა, თუმცა არა ჩვენ სასარგებლოდ.

ილია ნანიგაშვილი

თვალ თვალი

გადრი კეტელაშვილის ფოტო

ვერ გეტყვით, რას ფიქრობს რაიმონ დომენეკი ქართულ ფეხბურთზე, მაგრამ სუხიშვილების ცეკვა-თამაშს რომ თვალი ვერ მოსწყვიტა, ფაქტია. 2 სექტემბრის მატჩის დაწყებამდე, მაშინ, როცა მწვრთნელს ბოლო დარიგებები უნდა მიეცა გუნდისთვის, იგი მოედნის კიდესთან იდგა და...

დღეს კაუნასში: ლიდერი და სენსაცია

რა თქმა უნდა, სატურნირო ცხრილი ჯერ ძალიან პირობითია, მაგრამ მაინც — ჩვენი ჯგუფის ლიდერი შოტლანდია ამ უქმეების მთავარი სენსაციის ავტორ ლიტვას სტუმრობს. ჰოდა, კაუნასში ამბები იქნება, ნუ იტყვით. ორივე გუნდი იშტაზეა და მართლა ძალიან საინტერესოა, როგორ დამთავრდება მათი შეხლა.

არც სქოთთა თავკაცი უოლტერ სმიტი და არც მასპინძელი ალგიმანტას ლიუბინსკასი ტრავმებს არ უჩივიან — მათი შეგირდები სრულ მზადყოფნაში არიან.

ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის განცხადებით, კაუნასში ამ მატჩმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

მატჩი იქაური დროით 19.30 საათზე დაიწყება.

ქახა შალამბერიძე

შოტლანდია	1	1	0	0	6:0	3
საქართველო	2	1	0	1	6:3	3
საფრანგეთი	1	1	0	0	3:0	3
ლიტვა	1	0	1	0	1:1	1
იტალია	1	0	1	0	1:1	1
უკრაინა	0	0	0	0	0:0	0
ფარერები	2	0	0	2	0:12	0

ტრაგედია და ოცნება

კალაძეს შევჩენკოს ნახევარი აუხდა

ტრაგიკული ოჯახი

„მილანის“ მცველის კახა კალაძის 21 წლის ძმა ლევანი თბილისში გაიტაცეს. გამტაცებლები გამოსასყიდ თანხად 600 ათას დოლარს ითხოვდნენ. კახამ ყველაფერი გააკეთა, რათა ძმა უვნებელი დაბრუნებულიყო სახლში, მაგრამ საქმეში ძალოვანი მინისტრების ჩარევამაც კი ვერ გამოიღო შედეგი. ხუთწლიანი უშედეგო ძებნის შემდეგ ლევანის ცხედარს პოლიციამ ერთ-ერთი დაკავებული კრიმინალის აღიარებით მიაგნო. ლევანის დაღუპვის ამბავი კალაძეების ოჯახისთვის ენით აუწერელი ტრაგედია იყო.

„ყველანი განადგურებულები ვიყავით. არ მეგონა, თუ ამ შოკიდან ოდესმე გამოვიდოდი, მაგრამ ოჯახის წევრები ერთმანეთს გვერდში დავუდექით. ყველაზე დიდი შვება კი ფეხბურთმა მომცა. ვიცი, რომ ნებისმიერ ვარჯიშზე, ნებისმიერ მატჩისას მთლიანად ფეხბურთზე უნდა ვიყო კონცენტრირებული და ჩემი ტრაგედია მავიწყდება. საერთოდ კი, ამ უბედურების შემდეგ სულიერად და ფსიქოლოგიურად უფრო ძლიერი გავხდი“ — ამბობს კალაძე.

კახა კალაძე საქართველოს ერთ პატარა ქალაქში, სამტრედიაში დაიბადა. სამტრედია საქართველოს დასავლეთშია და დიდად არაფრით გამოირჩევა. „მილანის“ მცველმა ფეხბურთში პირველი ნაბიჯები სწორედ სამტრედიაში გადადგა. მერე კი მის კარიერაში გადამწყვეტი ეტაპი დადგა — კახა საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბ თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს და ოჯახიც იძულებული გახდა, საცხოვრებლად დედაქალაქში გადასულიყო.

„თბილისის „დინამოში“ თამაში ნებისმიერი ქართველი ბიჭის ოცნებაა. ეს ოცნება მე ძალიან ადრეულ ასაკში ამიხდა. „დინამოში“ რომ არ მოვხვედრილიყავი, შესაძლოა, ასეთი კარიერა ვერც ამეწყო. ძალიან ძნელი იყო ქვეყნის უპირველეს კლუბში ადგილის პოვნა. იყო ბევრი პრობლემა, ჩავარდნებიც მქონდა, მაგრამ გული არ ამცრუებია, საკუთარ თავს შთავაგონებდი, რომ თუ ერთი მატჩი არ გამომივიდოდა, მომდევნოში აუცილებლად გამიმართლებდა. ასეა ხოლმე, შეიძლება, ერთი სეზონი ვერ გაიბრწყინო, მაგრამ თუ საკუთარ თავზე იმუშავებ, მომდევნო აუცილებლად შენი იქნება“ — გვიამბობს კახა, რომელიც შარშან კინაღამ ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა.

აბრამოვიჩისთვის ხელის ჩამორთმევა

წინა სეზონის დასაწყისში კალაძეს „ჩელსი“ დაუკავშირდა და ლონდონში გადასვლა შესთავაზა. ახლა „ჩელსი“ ყველასთვის მაცდური გუნდია, უფრო ზუსტად კი, რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის მილიონებს ყველაფრის გაკეთება შეუძლია. აი, რას ამბობს არშემდგარ ტრანსფერზე კახა კალაძე:

„მილანში“ გატარებული ხუთი წლის შემდეგ ძალიან მინდოდა, რომ ცხოვრებაში რაიმე შემეცვალა. არ დავმალავ, „ჩელსიში“ გადასვლა ძალიან მსურდა და ამის თაობაზე რომან აბრამოვიჩსაც ვუთხარი, როდესაც ლონდონში შევხვდით. პირადი კონტრაქტი შევათანხმეთ და „მილანთანაც“ მოგვარებული იყო ყველაფერი, მაგრამ ბოლოს რა მოხდა, არ ვიცი. ვფიქრობ, ლონდონელებმა „მილანს“ პირი უტეხეს და ჩემი ტრანსფერიც ამიტომ არ შედგა. არადა, შეთანხმების ნიშნად მე და აბრამოვიჩმა ერთმანეთს ხელიც ჩამოვართვით.“

კალაძის ლონდონური საგა იმით დასრულდა, რომ იმედგაცრუებული ქართველი „მილანში“ დაბრუნდა და კლუბს თავისი პირობები გააცნო.

„კლუბის ხელმძღვანელობას საფუძვლიანად ვესაუბრე, ჩემი პირობები ავუხსენი. ვუთხარი, რომ მუდმივად თადარიგში ჯდომას ვერ შევეგუებოდი. იმის გამო, რომ „ჩელსიში“ გადასვლას ვაპირებდი, „მილანის“ უფროსები ნაწყენები არ ყოფილან და გულდასმით მომისმინეს. დამპირდნენ, რომ შანსს მომცემდნენ, დანარჩენი კი ჩემზე იყო დამოკიდებული“ — იხსენებს კალაძე, რომელმაც ეს შანსი მშვენივრად გამოიყენა და ახლა „მილანის“ დაცვის ბურჯია.

ქართული ოცნება

კალაძე „მილანში“ კიევის „დინამოდან“ გადავიდა, სადაც დაუმეგობრდა კიდეც უკრაინელ ვარსკვლავ ანდრეი შევჩენკოს.

„ორივეს ერთი ოცნება გვქონდა — გვეთამაშა დიდ კლუბში და ჩვენი ქვეყნის ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულიყვნენ. შევას ეს ოცნება რეალად აუხდა, მე კი სანახევროდ. „მილანში“ მოვიგე თითქმის ყველაფერი — ჩემპიონთა ლიგა, სუპერტასი, მაგრამ არაფერი მომიგია საქართველოს ნაკრებთან ერთად. მჯერა, ეს ოცნებაც ძალიან მალე ახდება“ — იმედიანადაა ქართველთა კაპიტანი.

და ერთიც, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა გვითხრა: „კალაძის შეცვლა შეიძლება, მაგრამ არა ჩვენს გუნდში“.

დიდი იმედით დიდ ეკრანზე

დღეს 20 საათზე საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უკრაინას გაეჯიბრება.

საქართველოს ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად თბილისსა და ბათუმში გულშემატკივრებს საშუალებას აძლევს, დიდ ეკრანზე ადევნონ თვალი. ქომაგები თბილისში რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბებიან, ბათუმში კი ბულვარზე. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია შედგა, რომელზეც ჟურნალისტებს შეხვდნენ აქციის ორგანიზატორები პაატა ბურჯალიანი, გოჩა თანდარაშვილი, აჩიკო გულედანი და ნიკა ქავთარაძე

პაატა ბურჯალიანი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებმა ბოლო შესარჩევი შეხვედრა წააგო, ჩვენ კვლავაც ჩვენი გუნდის გვერდით ვართ და ვეცდებით, თბილისიდან გავამხნევოთ ბიჭები — ჩვენი ფეხბურთელების მხარდაჭერა ახლა ძალიან მნიშვნელოვანია.

...ფარერებთან მატჩი ქომაგებმა თბილისსა და ბათუმში დიდ ეკრანზე იხილეს და ჩვენს ინიციატივას ისინი კარგად შეხვდნენ. გვჯერა, რომ უკრაინასთან მატჩის სანახავადაც შეიკრიბებიან საქართველოს ნაკრების მხარდამჭერნი.

გოჩა თანდარაშვილი: თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთთან მატჩის დროს ქართველმა გულშემატკივარმა თავის თავს ავჯობა — ჩვენ ვნახეთ ისეთი ქომაგობა, რომელიც საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცხო ხილია.

...არც მახსოვს, ბოლოს როდის გაივსო ეროვნული სტადიონი და როდის იყო ასეთი ქომაგობა.

...ის, რაც საფრანგეთთან თამაშის დროს ტრიბუნებზე ხდებოდა, ძალიან კარგი იყო, მაგრამ მჯერა, უფრო დავიხვეწებით და მომავალში უკეთესად ვუქომაგებთ ჩვენს ნაკრებს.

აჩიკო გულედანი: თეთრ და წითელ ფერებში შეფერილი სტადიონი რომ ლამაზი სანახავი იყო, ამას ჩემი თქმა არც სჭირდება — სხვა თუ არაფერი, ტრიბუნები ჩაშავებული არ იყო, რაც უდავოდ კარგ განწყობას ქმნიდა.

...გულშემატკივრები მთელი შეხვედრის მანძილზე ამხნევებდნენ საქართველოს ნაკრებს. გასაგებია, რომ უკეთესი ქომაგობა გვინდა, მაგრამ პირველი თამაშისთვის, მგონი, ცუდი არ იყო.

...წლების წინ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნაკრები დამარცხდებოდა, ფეხბურთელები გასახდელებში შერბოდნენ, ახლა კი, მიუხედავად მარცხისა, მოედანზე დარჩნენ და მადლობა გადაგვიხადეს.

...მჯერა, ქომაგის და ფეხბურთელის ურთიერთობა დაიხვეწება და უკეთესობისკენ შეიცვლება. ჩვენ და ნაკრების წევრები უნდა გავერთიანდეთ და ერთი დიდი გუნდი შევქმნათ.

ნიკა ქავთარაძე: ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ მიუხედავად ასეთი მარცხისა, გულშემატკივრების მხრიდან არ იყო აგრესია. ბოთლების და სანთლების მინდორზე სროლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

...ნელ-ნელა ჩვენც დავიხვეწებით და მალე საქართველოს ნაკრებს ისეთი გულშემატკივარი ეყოლება, როგორიც წამყვან უცხოურ გუნდებს ჰყავთ.

...რაც შეეხება ხვალინდელ დღეს: მოდით, შევიკრიბოთ ერთად და თბილისიდან და ბათუმიდან გავამხნევოთ ჩვენი ბიჭები.

პირველი ლიგა

I წრე. 4 ტური

გაგრა 4:0 გურია
მეშაძრე 1:1 ვიტ ჯორჯია 2
ოლიმპი 0:2 მგლები
მეშახტე 2:0 სპარტაკი
სამტრედია 2:2 ჩიხურა 2
მაღაროელი 1:1 ამერი 2
დინამო 2 6:1 რაჭა
მერცხალი 0:1 ზესტაფონი 2
ნ. დინამოელი 0:0 მესხეთი

მგლები	4	3	1	0	4:0	10
მესხეთი	4	2	2	0	8:2	8
დინამო 2	4	2	2	0	8:2	8
ვიტ ჯორჯია 2	4	2	1	1	8:2	7
ნ. დინამოელი	4	2	1	1	5:4	7
მეშაქრე	4	2	1	1	4:3	7
სპარტაკი	4	2	0	2	6:5	6
სამტრედია	4	1	3	0	10:7	6
ზესტაფონი 2	4	1	3	0	5:4	6
მაღაროელი	4	1	2	1	7:6	5
ჩიხურა 2	4	1	2	1	5:4	5
მეშახტე	4	1	2	1	6:6	5
ამერი 2	4	0	4	0	5:5	4
გაგრა	4	1	0	3	6:6	3
მერცხალი	4	1	0	3	3:8	3
ოლიმპი	4	0	2	2	2:5	2
რაჭა	4	0	1	3	5:15	1
გურია	4	0	1	3	0:10	1

დროებით დაშლა-არმოშლას გაუმარჯოს!

იბრაჰიმოვიჩს მელბერგის დაბადების დღე ძვირი დაუჯდა

შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა სამი ფეხბურთელი უდისციპლინობის გამო სახლში გაუშვა. ამბავი კი გიოტებორგში მოხდა, სადაც გუნდი იყო შეკრებილი და ლიხტენშტაინთან მატჩისთვის ემზადებოდა.

ოლაფ მელბერგმა 29-ე დაბადების დღის აღსანიშნავად ზლატან იბრაჰიმოვიჩი და კარისტიან ვილჰელმსონი დაპატიჟა. ისინი ქალაქის ერთ-ერთ ბარში მიუსხდნენ მაგიდასს და ისე შეჰყვნენ საუბარს, რომ დაავიწყდათ 11 საათისთვის ბაზაზე დაბრუნება. სამეული ორის თხუმეტ წუთზეა მილასლასდა „ბანაკში“, სადაც წარბებშეკრული ლარს ლაგერბეკი დახვდათ.

მწვრთნელის თქმით, ბიჭები ალკოჰოლის სუნს არ აფრქვევდნენ ანუ მთვრალები არ იყვნენ, მაგრამ რეჟიმის დარღვევისთვის მაინც დასაჯა.

„ფეხბურთელები განრიგის მიხედვით 11-ზე ბაზაზე უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მათ დაიგვიანეს და ამის გამო მათი დასჯა გადავწყვიტეთ. ისინი სახლში გავუშვით და ლიხტენშტაინთან თამაშს გამოტოვებენ“ — ნათქვამია შვედეთის ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ იუბილარი მელბერგი „ასტონ ვილას“ ფეხბურთელია და ოთხი წლის განმავლობაში კაპიტნობდა ნაკრებს, მაგრამ მსოფლიოს განვლილი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სამკლავური ფრედერიკ ლიუნგბერს გადაბარა, რომელთანაც არაერთხელ უჩხუბია და კიდეც შერიგებულან.

ირაკლი ნინიძე

ცხრა ივლისის საიდუმლო გახსნილია

მატერაციის და უხსენებია

ალბათ, „გაძეტა დელო სპორტმა“ იტალიის ნაკრებისა და „ინტერის“ მცველ მარკო მატერაცის ინტერვიუ საფრანგეთისა და „სკუადრა აძურას“ დღევანდელი თამაშის ეშხით ჩამოართვა და თავად მარკო მატერაციმაც 9 ივლისის ამბავი ამავე მიზეზით გაიხსენა — ამ საღამოს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის „ასლია“, მუნდიალის ორი თვის წინანდელი ფინალისტები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ერთმანეთს ბურთით გაურჩევენ საქმეს.

მოგეხსენებათ, ამ შეხვედრაში არ იქნებიან ორი თვის წინანდელი მატჩის გმირები თუ ანტიგმირები, ზინედინ ზიდანი და ზემოხსენებული მატერაცი. ზიდანმა ფეხბურთს თავი დაანება, ხოლო მატერაცის ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი.

შეგახსენებთ, რა მოხდა: 9 ივლისს, ფინალის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ზინედინ ზიდანი მოულოდნელად მიტრიალდა მარკო მატერაცისკენ და მკერდში თავი ისე ჩასცხო, რომ იტალიელი მცველი წაიქცა. მსაჯმა, არგენტინელმა ორასიო ელიზონდომ ფრანგთა კაპიტანი შოედნიდან გააძევა. ამ ამბავს მთელ მსოფლიოში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ორივე ფეხბურთელს პრესისა და ქომაგების რისხვა დაატყდა თავს, მითუფრო მას მერე, რაც გაირკვა, რომ ზიდანის დარტყმა რეაქცია ყოფილა მტერაცის გინებაზე, თუმცა კერძოდ როგორ შეიგინა მატერაციმ, თავად მატერაცის პირით აქამდე არ თქმულა. შეგახსენებთ იმასაც, რომ ფიფას საგანგებო ხუთკაციანმა კომისიამ ზიდანს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მაგრამ ვინაიდან ფრანგი, ფეხბურთელი აღარაა და შესაბამისად თამაშებსაც ვერ გამოტოვებს, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეუცვალა, ხოლო მატერაცი ორი თამაშით არის დასჯილი.

„მე ზიდანს მაისურზე ვქაჩავდი, ის კი მომიტრიალდა და ამპარტავნულად მითხრა, თუ ჩემი მაისურა ასე გინდა, თამაშის მერე გაჩუქებო. განა ეს პროვოკაცია არ არის? მე ჩემი პასუხით მხოლოდ თავი დავიცავი“ — თქვა მატერაციმ.

ბოლოს და ბოლოს, როგორი იყო ეს პასუხი?

თურმე ასეთი: „მაისურს შენი და მირჩევნია.“

მატერაცი: „მესმის, რომ ასეთი რამის თქმა მაინცდამაინც ლამაზი საქციელი არ არის, მაგრამ მოედანზე ფეხბურთელები გაცილებით უარესს ეუბნებიან ერთმანეთს. მე არც კი ვიცოდი ზიდანს და მართლა თუ ჰყავდა“.

შემდეგ მატერაციმ დაიჩივლა, რომ ის დაჩაგრეს და ვერდიქტის გამოტანისას ზიდანი უფრო მაღლა დააყენეს, ასე ვთქვათ, ფრანგის მიმართ ფავორიტიზმი გამოამჟღავნეს.

„რაც დანამდვილებით ვიცი ის არის, რომ მე თავიც დამარტყეს და ორთამაშიანი დისკვალიფიკაციაც მომისაჯეს. სამი თვე და თუნდაც სამი წელიწადი ვიმუშავებდი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეზე, ოღონდ კი „სტად დე ფრანსზე“ ამ შეხვედრაში თამაშის უფლება მოეცათ, მაგრამ ეტყობა მე ზიდანზე დაბალი კასტის წარმომადგენელი ვარ“ — თქვა მატერაციმ.

შეგახსენებთ, რომ ზინედინ ზიდანი ფეხბურთიდან ისე წავიდა, კერძოდ როგორ შეაგინა მატერაციმ, არ მოუყოლია. და მაინც, არის რაღაც, რაც ფრანგის და იტალიელების ვერსიებს განასხვავებს. კერძოდ, 12 ივლისს მიცემულ სატელევიზიო ინტერვიუში კითხვაზე, მაინც რა გითხათ ასეთი მარკო მატერაციმ, ზიდანმა უპასუხა:

„ძალიან პირადული და შეურაცხმყოფელი რამ დედაჩემსა და ჩემს დაზე. ერთხელ შეიძლება გაიგო ასეთი რამ და ჩაყლაპო, შენს გზას დაადგე, იმიტომ, რომ ფეხბურთიდან მიდიხარ და არ გინდა ბოლო დღე ჩაიშხამო, მაგრამ როდესაც იმავეს მეორედ და მესამედ გიმეორებენ...“

პაპუნა კედია

შურისძიების ფრანგული რეცეპტი

გამიშვით, თორემ ჩემს კარში გავიტანენ!

გალასი მაურინიუს გოლით ემუქრებოდა

როგორც ჩანს, „ჩელსი“ — უილიამ გალასის ისტორია დასრულდა: ფრანგი „არსენალშია“, „ჩელსიმ“ კი მის სანაცვლოდ ეშლი კოული მიიღო.

თუმცა, წითელი რომანის კლუბმა საჭიროდ ჩათვალა, ოფიციალური განცხადება გაევრცელებინა გალასის ხუთთვიანი ჯანყის შესახებ. ფრანგი ახალ კონტრაქტს და ახალ ხელფასს ითხოვდა და ამისთვის ნამდვილი რევოლუციონერივით იქცეოდა.

„ჩელსის“ განცხადებით, გალასი თვითონ ეძებდა ახალ კლუბს. ამას გარდა, დაიმუქრა, რომ ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ლივერპულის“ წინააღმდეგ სათამაშოდ არ გავიდოდა. კლუბის ამერიკული შეკრებაც გააცდინა და „მანჩესტერ სიტისთან“ სეზონის გამხსნელ თამაშზეც არ გამოვიდა. სულ ბოლოს კი 29 წლის ფეხბურთელმა ჟოზე მაურინიუს უთხრა, რომ თუ გუნდიდან არ გაუშვებდნენ, საკუთარ კარში გაიტანდა გოლს.

გალასის საქმე სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე წუთით ადრე, გასულ ხუთშაბათს გაიჩარხა. მაურინიუმ დილითვე დაურეკა ფეხბურთელს, რომ „ჩელსიში“ აღარ ითამაშებდა. გალასი იმ დროს უკვე თბილისის გზას ადგა ნაკრებთან ერთად და „ჩელსიმაც“ აღარ დაახანა.

ოფიციალური განცხადება კი „ჩელსიმ“ უფრო თავისი ფანებისთვის გაავრცელა, ვინაიდან გალასი სულაც არ იყო „ჩელსის“ რიგითი ფეხბურთელი და კლუბისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. კლუბი ამტკიცებს, კარგ კონტრაქტს ვთავაზობდით, ის კი პირადად გადაემტერა მაურინიუსო. საერთოდ, მთელი ეს განცხადება მაურინიუს გასამართლებლადაა გამოქვეყნებული, გალასი კი ისეთი მოთამაშე იყო „ჩელსისთვის“, რომ ფეხმოტეხილიც კი დარჩენილა მინდორზე.

ირაკლი გამყრელიძე

მელანქოლია ფაკეტის გამო

სადღაა სადა კაცობა: ვარსკვლავის სევდა და ნამუსი

საქართველოში ჯაჩინტო ფაკეტის სხვანაირად მოგონება გამორიცხულია. არა, ზოგადად შეიძლება აიღო, ნებისმიერი ცნობარი ან უცხოური სტატია და გადმოთარგმნო, მაგრამ ეს თითქოს ბუნებრივი არ იქნება. ფაკეტისთან დაკავშირებით ბუნებრივი და ჩვენი მოგონება 1977 წლის 14 სექტემბერია, როდესაც დათო ყიფიანმა სახელგანთქმულ მცველს ბურთი აწაპნა და „ინტერის" კარისკენ დაიძრა, ის კი გამოედევნა. ფაკეტი ძალიან ახლოს მისდევდა ყიფიანს, მაგრამ ქართველ ვარსკვლავს ბურთი ისე ოსტატურად მიჰქონდა, რომ წასართმევად ვერ მიუდგა, ხოლო სარმა არ იკადრა და მომენტი გოლით დასრულდა — თბილისის „დინამომ" მილანში 1:0 მოიგო. მერე დიდი გარჩევა ატყდა, რატომ არ დაუდო ფაკეტიმ ყიფიანს ფეხი? ამის შესახებ თავად ფაკეტისაც ჰკითხეს, მან კი უპასუხა, ყიფიანმა ბურთი ისე ოსტატურად ამართვა და წაიღო, რომ ფეხის დადება უზნეობა იქნებოდაო. ამასთან დაკავშირებით, ჯაჩინტო ფაკეტის სათაყვანებელი „ინტერის" ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე მცველის, მსოფლიოს ჩემპიონ მარკო მატერაცის გახსენებაზე იოლად შეიძლება დავასკვნათ, რომ დრო იტალიაშიც გადის. დიახ, დრო მართლაც გადის: გარდაიცვალა დავით ყიფიანი და აი, ორიოდ დღის წინ გარდაიცვალა ჯაჩინტო ფაკეტიც. მას კიბო სჭირდა

როგორი ფეხბურთელი იყო ფაკეტი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კარგად უნდა წარმოვიდგინოთ მაშინდელი ეპოქა, ანუ დრო, როდესაც ჰოლანდიელებს ჯერ ტოტალური ფეხბურთი არ ჰქონდათ მოგონებული. ეს ის დროა, როდესაც ფეხბურთელები მკაცრად თავიანთ პოზიციებზე დგანან, ხოლო ეს პოზიციები დღევანდელთან შედარებით მარტივია. სხვა სიტყვებით, მარცხენა მცველი შუა ნახევარმცველის ან თუნდაც მცველის ადგილზე ვერასოდეს ხვდებოდა, რადგან მისი საქმე მარცხენა მცველობა იყო და მორჩა, ხოლო ტაქტიკა რთულ გადაადგილებებს არ ითვალისწინებდა. თუმცა იმ დროშიც იყვნენ ცალკეული ფეხბურთელები, რომლებიც სტერეოტიპებს ანგრევდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ალფრედო დი სტეფანო, რომელიც ცენტრფორვარდის ადგილიდან პერიოდულად ნახევარდაცვაში ჩადიოდა და მეტიც, ხანდახან მცველის ადგილასაც კი ხედავდნენ. ფრანც ბეკენბაუერიც საკმაოდ უცნაურ რამეს აკეთებდა, დაცვის შუაში ცოტა უკან იწევდა და სხვა მცველებს აზღვევდა, ხოლო როდესაც ბურთი მათი იყო, შეტევაზე გადადიოდა. ხოლო ბეკენბაუერამდე ცოტა ადრე ევროპამ გაიცნო ჯაჩინტო ფაკეტი, მარცხენა მცველი, რომელიც ხანდახან კი არა, იმდენს უტევდა, რომ მცველი იყო თუ თავდამსხმელი. ვერ გაიგებდით. ფაქტობრივად, ის იყო პირველი განაპირა მცველი, რომელიც მთელ ფლანგზე არბოდა და ჩარბოდა.

ნუ, ადამიანი, რომელიც მთელ ფლანგზე არბოდა და ჩარბოდა, ფიზიკურადაც ძლიერი უნდა ყოფილიყო და მართლაც: მას არაჩვეულებრივი მონაცემები დაამადლა ბუნებამ — იყო ღონიერი და სწრაფი, ასმეტრიან დისტანციას 11 წამში გარბოდა, ხოლო მისებრ 188-სანტიმეტრიანი გოლიათები მაშინ ფეხბურთს იშვიათად თამაშობდნენ. იმ ეპოქაში, სხვათა შორის, ძალიან საინტერესო გახლდათ „ინტერისა" და „იუვენტუსის" დაპირისპირებანი, რადგან „ბებერ ქალბატონსაც" ჰყავდა დევი, 187-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი ჯონ ჩარლზი და ამ ორ ფეხბურთელს ერთმანეთთან უწევდა დაპირისპირება.

მცველი, თან იტალიელი, რომელსაც მთელი კარიერის განმავლობაში ერთი დისკვალიფიკაციაც არ მიუღია, 1942 წლის 18 ივლისს ტრევილიოში დაიბადა. მამამისი ფელიჩე რკინიგზაზე მუშაობდა და ფეხბურთსაც გატაცებით თამაშობდა. ამბობენ, ისიც მცველი იყო და თან ძალიან უხეშიო. „ქრისტიანების მკვლელი" თუ რაღაც ასეთი შეურქმევიათ მეტსახელად. ჰოდა, ნათქვამია, ის ურჩევნია მამულსაო — ალბათ, ქალაქ ტრევილიოს — ამ მკვლელის შვილი პროფესიონალი ფეხბურთელი გამოვიდა და, რაც ყველაზე საინტერესოა, უკიდურესად კორექტული, იმდენად, რომ მსაჯებთან კამათს უღირს საქციელად თვლიდა.

ჯაჩინტოს ჰყავდა ერთი ძმა და ორი და. დედა 16 წლისას სადილობისას ინფარქტით გარდაეცვალა, ოღონდ თავად ამას არ შესწრებია — იუნიორთა ნაკრების შემადგენლობაში იყო სათამაშოდ სტუმრად წასული და შინ ორი დღის მერე დაბრუნდა. ალბათ, დაზუსტება არ სჭირდება იმას, რომ მაშინ მობილური ტელეფონები არ არსებობდა.

დედის სიკვდილმა ჯაჩინტო ფაკეტი მელანქოლიურ ადამიანად გადააქცია და ის ბოლომდე ასეთად დარჩა. ერთხელ კითხვაზე, გაქვთ თუ არა აუსრულებელი ოცნება, „ინტერის" ვარსკვლავმა უპასუხა: „დიახ, ძალიან ბედნიერი ვიქ-

ნებოდი, დედაჩემს, რომელმაც მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა, ჩემი წარმატება ენახა და შემოსავლით ესარგებლა, მაგრამ, სამწუხაროდ ეს არ მოხდა. მან ერთადერთხელ ნახა ჩემი თამაში ტელევიზიით, როდესაც მე იტალიის იუნიორთა ნაკრებში გამოვდიოდი და სწორედ იმ საღამოს გარდაიცვალა".

საინტერესოა, რომ ფაკეტი დაბადებით მცველი იყო. ერთხელ, ელინიო ერერამ „ბოლონიასთან" თამაშში თავდამსხმელად განაწესა, მაგრამ საბრალომ ისე უხერხულად და უადგილოდ იგრძნო თავი, რომ ის დღე იყო და ის, წინ დგომისა და პასის ლოდინისთვის ის არ მოუცდენიათ.

სერია A-ში პირველად 1961 წლის 21 მაისს ითამაშა რომში „რომასთან". ამ ამბამდე რამდენიმე კვირით ადრე კი მას ერერამ მიაქცია ყურადღება. მწვრთნელი მანამდე მას ფაქტობრივად არ იცნობდა, მაგ. ამ იმ დალოცვილ ღღეს შეხედა, დააკვირდა და ჰკითხა, შენ რა გქვია? ფაკეტიმ უპასუხა. ჰოდა, ხვალიდან ძირითადში ითამაშებ, მიდი, ძირითად შემადგენლობასთან ერთად ივარჯიშე.

„ეს ბიჭი ნაკრებში თამაშისთვის არის დაბადებული" — იმეორებდა ერერა მაშინაც, როდესაც ფაკეტის საქმეები კარგად არ მიუდიოდა.

და მართლაც, ჯაჩინტო ფაკეტიმ 1963 წლის 27 მარტს თურქეთის ნაკრებთან შეხვედრაში მორგებული „სკუადრა აძურას" მაისურა 94 თამაშის შემდეგდა გაიხადა.

და, იცით, რატომ დააკლდა ექვსი თამაში? ისტორია ასეთია: ახლოვდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატი არგენტინაში, რომელიც ფაკეტისთვის მეოთხე უნდა გამხდარიყო. მაშინ „სკუადრა აძურას" უკვე ენცო ბეარზოტი წვრთნიდა. ბეარზოტს ფაკეტის არგენტინაში წაყვანა უნდოდა და თავად ჯაჩინტოც თავდაუზოგავად ემზადებოდა მუნდიალისთვის, მაგრამ, ვაგლახ, სწორედ ამ თავდაუზოგავი ვარჯიშების დროს... არა, კი არ დაშავდა, აღმოაჩინა, რომ წლებს თავისი წაუღიათ და ბეარზოტთან მივიდა: „მე უფლება აღარ მაქვს, ნაკრების მოთამაშე ვიყო".

ბეარზოტმა ფაკეტის მაგივრად ახალგაზრდა ანტონიო კაბრინი გამოიძახა...

პაპუნა კედია

ჯაჩინტო ფაკეტიმ ცხოვრების ბოლო წლები „ინტერის" პრეზიდენტის თანამდებობაზე გაატარა. ის კლუბის მეპატრონის, მასიმო მორატის მარჯვენა ხელი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ იმ წლებში, როდესაც ფაკეტი ფეხბურთს თამაშობდა და „ინტერთან" ერთად დიდ სიმაღლეებს იპყრობდა, კლუბის პრეზიდენტი და მეპატრონე მასიმო მორატის მამა ჯუზეპე მორატი გახლდათ და ამდენად ფაკეტისა და ვაჟი მორატის დამოკიდებულება განსაკუთრებული იყო. ქვემოთ გთავაზობთ მასიმო მორატის გამოსათხოვარ წერილს ჯაჩინტო ფაკეტისადმი

ძვირფასო ჩიპე!

ვერ მოვახერხე შენთვის მეთქვა ის, რის თქმასაც ვაპირებდი, რადგან ვშიშობდი, რომ მიხვდებოდი — დრო დაუნდობლად გადიოდა, ხოლო სნეულება, რომელსაც შენ ჰყავდი შეპყრობილი, საშინელი იყო.

ახლა მადლობა უნდა გადაგიხადო იმ მოთმინებისთვის, რომელსაც ჩემ მიმართ იჩენდი, ბოლომდე მომღიმარი თვალებისთვის და ენთუზიაზმისა თუ ირონიისთვის, რომლითაც რთული პერიოდების გადალახვაში მეხმარებოდი.

რამდენიმე დღის წინ, მართალია, იმას ხმა აღარ ერქვა — თუმც სახეზე მაინც მოსიყვარულე კაცის გამომეტყველება გეფინა — მაგრამ მაინც მელაპარაკე „ინტერზე" და შენი ფიქრები გამაცანი, პროექტები დასახე.

რამდენიმე თვის წინ ნახევრადხუმრობით გკითხე, რატომ არ გყოლია არასოდეს მეგობარი მსაჯი, რომელიც ერთხელ მაინც დაგვიცავდა ქულების დაკარგვისგან, შენ კი რბილად და თავაზიანად, მაგრამ იმავდროულად მკაცრად მიპასუხე, რომ ამაზე შენთან არც უნდა ჩამოგვდო სიტყვა, რადგან მსგავს საკითხებში უნიჭო ხარ.

ფანტასტიკურია. ღირსება და თანდაყოლილი პატიოსნება ასეთი ქცევის საშუალებას ყურადღების მოგცემდა. ასეთი რამ შენთვის წარმოუდგენელი იყო, რადგან ყველთვის ნამდვილი სპორტსმენი და შეურყვნელი ინტერელი იყავი, იმ პირველი დღიდან, როდესაც ერერამ შეცდომით ჩიპელეტი დაგიძახა და მას მერე შეგარქვეს კიდეც ჩიპე. შენ იყავი ჯენტლმენი, ჭკვიანი, უშიშარი, თავშეკავებული და ყოველგვარი კულგარული რეაქციებისგან შორს მდგომი.

გმადლობ იმისთვის, რომ „ინტერს" შენი მოღვაწეობით პატივი დასდე. გმადლობთ ყველა ჩვენგანის სახელით.

დიეგო კლოზეზე კარგად უკრავს



ბუნდესლიგაში აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელად „ვერდერის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი დიეგო დაასახელეს, რომელმაც „მუსიკოსების“ მაისურით სამ მატჩში ერთი გაიტანა და ხუთი საგოლე პასი მიითვალა.

„ალალად ვიტყვი, რომ ამას არ ველოდი — განაცხადა ბრაზილიელმა — გულმოდგინედ ვვარჯიშობდი, რათა ქომაგებისა და კლუბის ხელმძღვანელების წინაშე თავი არ შემერცხვინა. გაკვირვებული ვარ, რადგან გერმანიაში ძალიან სწრაფად მაღიარეს“.

21 წლის ფეხბურთელმა ჯილდოს მიღების შემდეგ თქვა: „კარგად ვიცი, რომ მაღალ დონეზე დიდხანს თამაში ძალიან ძნელია, მაგრამ შევეცდები, ასევე გავაგრძელო და ყოველ მატჩში 100 პროცენტით დავიხარჯო. ასე რომ, არაფრის მეშინია“.

ჯილდოს მაძიებელთა შორის იყვნენ miroslav კლოზე, რომელიც მაისში დაასახელეს საუკეთესოდ და „შალკეს“ მცველი მარსელო ბორდონი. დიეგომ თანაგუნდელ კლოზეზე თითქმის ორჯერ მეტი ხმა მოაგროვა, ხოლო ბორდონი მესამე აღმოჩნდა.

გიორგი დარჯანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცმეთაური ბარსელონა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციის მორიგ საკლუბო რეიტინგში პირველ ადგილზე კატალონიურმა „ბარსელონამ“ გადაინაცვლა. საინტერესოა, რომ მეორე ადგილზე აღმოჩნდა ასევე ესპანური „სევილია“, რომელმაც ცოტა ხნის წინ ევროპის სუპერთასზე სწორედ „ბარსელონა“ დაამარცხა.

წინა რეიტინგში პირველადგილოსანი მილანის „ინტერი“ მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს ბრაზილიელ მოსახელე პორტუ ალეგრის „ინტერნასიონალთან“. მადრიდის „რეალი“ კი ამჯერად ოცეულშიც ვერ მოხვდა.

შეგახსენებთ, რომ IFFHS თავის რეიტინგში კლუბების საერთაშორისო, შიდა ჩემპიონატში და თასზე ბოლო 12 თვეში გამართული მატჩების შედეგებს ითვალისწინებს. კოეფიციენტების დათვლისას მნიშვნელობა ენიჭება ჩემპიონატების დონესა და სიძლიერესაც.

გიორგი კაკაბაძე

1. ბარსელონა (ესპანეთი) ---------- 288
2. სევილია (ესპანეთი) ---------- 276
3. ინტერი (იტალია) ---------- 270
4. ინტერი (ბრაზილია) ---------- 270
5. მილანი (იტალია) ---------- 269
6. მარსელი (საფრანგეთი) ---------- 266
7. ლივერპული (ინგლისი) ---------- 260
8. არსენალი (ინგლისი) ---------- 258
9. რომა (იტალია) ---------- 248
10. ბაიერნი (გერმანია) ---------- 246
11. ლიონი (საფრანგეთი) ---------- 244
12. რაპიდი (რუმინეთი) ---------- 240
13. სან პაულუ (ბრაზილია) ---------- 240
14. იუვენტუსი (იტალია) ---------- 226
15. მიდლსბრო (ინგლისი) ---------- 217
16. სტიაუა (რუმინეთი) ---------- 217
17. შალკე (გერმანია) ---------- 216
18. ველესი (არგენტინა) ---------- 216
19. ჩელსი (ინგლისი) ---------- 215
20. პალერმო (იტალია) ---------- 210

მოხეტიალე ლოტიტო

რომის „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ცდილობს, კალჩოპოლის ვერდიქტი გაასაჩივროს. საქმე მის პირად სასჯელს ეხება. მოგეხენებათ, ლოტიტო საფეხბურთო საქმიანობას ორ წლით და ექვსი თვით მოკვეთეს, მაგრამ იგი მიიჩნევს, რომ ეს უსამართლო გადაწყვეტილება იყო.

ლოტიტომ უკვე მიმართა ოლიმპიურ კომიტეტს, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო, ახლა კი რომაელი ბიზნესმენი ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებს აპელაციის შეტანას.

„უდანაშაულო ვარ და ყველანაირად ვეცდები ამის დამტკიცებას. ახლა აპელაციას საარბიტრაჟო სასამართლოში შევიტან. „ლაციო“ პირველი კლუბი იყო, რომელმაც ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა. აურზაურის თავიდან ასაცილებლად სამოქალაქო სასამართლოში არ მივსულვართ და ამას გაგებით უნდა მოეკიდნენ. აპელაციის შედეგი აჩვენებს, სწორად მოვიქეცით თუ არა. იმედია, სამართლიანობა იზეიმებს“ — განაცხადა ლოტიტომ.

ძოძი ძანდელაძი

ტონი სიბინძურეს ებრძვის



იტალიის ნაკრებისა და ფლორენციის „ფიორენტინას“ ფორვარდ ლუკა ტონის თქმით, მას ეამაყება, რომ ისევ „იების“ მაისურის ტარება მოუწევს.

სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა აღნიშნა, რომ კლუბიდან წასვლაზე აღარ ფიქრობს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ, მიუხედავად მინუს ცამეტი ქულისა, „ფიორენტინას“ წარმატების მიღწევაში დაეხმაროს.

მოგეხსენებათ, „პალერმოს“ ყოფილი თავდამსხმელით „ინტერი“ იყო დაინტერესებული, მაგრამ კლუბმა მისი გაშვება იუარა. ტონისაც ისღა დარჩენოდა, „არტემიო ფრანკიზე“ თამაშს შეგუებოდა, თუმცა ცოტა ხნის წინ გავრცელდა ჭორები, ტონიმ თქვა, კლუბში მხოლოდ იანვრამდე დავრჩებიო, რამაც ახალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ლუკა ტონი: „ეს სიტყვები არასოდეს მითქვამს და მაინტერესებს, ვინ არის ამ წინადადების ავტორი. მეგონა, რომ ჭორებს საბოლოოდ მოეღო ბოლო, როდესაც „ფიორენტინაში“ დარჩენა გადავწყვიტე, მაგრამ ახლა ვფიქრობ, ვიღაც განგებ ცდილობს, კლუბთან და ქომაგებთან ურთიერთობა გამიფუჭოს. ეს ქალაქი და გუნდი მიყვარს. „ფიორენტინას“ მაისურის ტარებაც მეამაყება და ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი, როცა წასვლაზე ფიქრს თავი დავანებე. თუმცა მინდა, სიმართლე ითქვას, ბინძურ მითქმა-მოთქმებს ბოლო მოეღოს და, გულშემატკივრებთანაც ძველებურად თბილი ურთიერთობა მქონდეს.“

ძოძი ძანდელაძი

სანერვიულო კვირა პორტუგალიისთვის



პორტუგალიის ფეხბურთის შეფი ჟილბერტო მადაილი

ფიფამ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას 14 სექტემბრამდე მისცა ვადა საიმისოდ, რომ „ჟილ ვისენტესთან“ დაკავშირებული პრობლემები მოაგვაროს. წინაწინმდეგ შემთხვევაში ამ ქვეყნის ნაკრებს და კლუბებს ყველა საერთაშორისო შეჯიბრებიდან მოხსნიან.

რა დააშავა „ჟილ ვისენტემ“? წინა სეზონში გუნდში ჰყავდა ანგოლელი ფეხბურთელი მათეუსი, რომელსაც თამაშის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ითამაშა და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა გუნდი დასაჯა — ქვედა დივიზიონში უკრა თავი. „ჟილ ვისენტემ“ კი სამოქალაქო სასამართლოში იჩივლა და პროცესი მოიგო, კვლავ სუპერლიგაში დაბრუნების უფლება მოიპოვა სასამართლოს ძალით. ფიფა კი, მოგეხსენებათ, საფეხბურთო ამბების სამოქალაქო სასამართლოში გარჩევას ალმაცერად უყურებს და მკაცრად სჯის იმ ქვეყანას, რომლის გუნდებიც ამ ხერხს მიმართავენ.

არეულობამ გამოიწვია ის, რომ პორტუგალიის ჩემპიონატის პირველი ტური არასრულად ჩატარდა. პორტუგალიის მთავრობამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, „ჟილ ვისენტეს“ სთხოვა, დამორჩილებოდა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას. კლუბის შეფები ხვალ საგანგებოდ შეიკრიბებიან, რათა გაარკვიონ, თუ რას მოიმოქმედებენ. მოკლედ, თუ პრობლემა 14 სექტემბრისთვის არ მოგვარდა, ფიფა პორტუგალიის ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევიდან მოკვეთს, გუნდებს კი — ევროტურნირებიდან.

ირაკლი ნინიძე

სერ ბობი ჯანზე მოდის



სერ ბობი რობსონი მომჯობინდა. ტვინიდან სიმსივნის ამოკვეთის შემდეგ მოხუცმა მწვრთნელმა თავად გააკეთა კომენტარი: „ჯანზე მოვდივარ, თუმცა ექიმებს უნდა დავუჯერო. ერთი სული მაქვს, სანამ საქმეს დავუბრუნდები“.

სერ ბობი ირლანდიის ნაკრების მენეჯერის, სტივ სტონტონის მრჩევლად მსახურობს. დამბლა კი ზაფხულში, იფსვიჩის სტადიონზე დაეცა, რის შედეგადაც მარცხენა კიდურებს ველარ ამოძრავებდა.

ნაოპერაციევს გერმანია-ირლანდიის მატჩიც უნახავს და მარცხის მიუხედავად, კუნძულელთა თამაში მოსწონებია.

ირაკლი გამყრელიძე

ესპანეთმა ათასს მიუკაკუნა

ლუის გარსია

ესპანეთის ნაკრები თავის ისტორიაში მე-1000 გოლის გასატანად ემზადება. წესით, ეს საიუბილეო გოლი პირინეელებმა დღეს ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის მატჩში უნდა შეაგდონ.

„გოლების გატანაზე ყოველთვის ოცნებობ, მით უმეტეს, თუ საქმე საიუბილეოს ეხება, მაგრამ ვინ გაიტანს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, 3 ქულა მოვიპოვოთ. ჯგუფიდან ორი გუნდი გადის, მაგრამ ჩვენ მხოლოდ პირველ ადგილზე ვფიქრობთ. შეცდომების გამეორება არ გვსურს და რაც შეიძლება, მეტი მატჩი უნდა მოვიგოთ“ — აღნიშნა ესპანელთა ფორვარდმა ფერნანდო ტორესმა.

შეგახსენებთ, რომ ესპანელები 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე სერბების მერე მეორენი იყვნენ ჯგუფში და გერმანიაში მოსახვედრად ორმატჩიან დუელში სლოვაკეთის წაქცევა დასჭირდათ. გავიხსენოთ ისიც, რომ არცთუ შორეულ წარსულში ესპანეთი ბელფასტს უკვე ეწვია და ის მატჩი უგოლოდ დასრულდა, მიუხედავად პირინეელთა დიდი სათამაშო უპირატესობისა.

„ლივერპულისა“ და ესპანეთის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ლუის გარსია: „ჩრდილოეთ ირლანდიასთან ბევრად მძიმე მატჩი გველის, ვიდრე ლიხტენშტაინთან იყო. თუმცა მოგების გარდა, სხვა შედეგზე ფიქრიც არ შეიძლება.“

კოკი კანდელაკი

ჩემი პატრონი

რაზე საუბრობენ ხოლმე ფეხბურთელები სანაკრებო შეკრებისას? მაგალითად, ჯონ ტერი ამბობს, რომ თავისი კლუბების პატრონებზე ლაპარაკობენ.

ინგლისელები ანდორასთან გასეირნების შემდეგ სტუმრად მაკედონიასთან თამაშისთვის ემზადებიან და კაპიტანი ტერი თანაგუნდელებს რომან აბრამოვიჩზე მოუყვა:

„ჩვენ ყველანი ვემადლიერებით იმისთვის, რაც მან გააკეთა. კლუბების პატრონთა უმეტესობა კულისებშია და ფეხბურთელებთან ურთიერთობას ერიდება. აბრამოვიჩი კი ვარჯიშებს ესწრება და შეუძლია, უბრალოდ, მივიდეს მოთამაშეებთან და შინაურულად ემასლაათოს. გასულ ზაფხულს ამერიკულ ტურნეში მას ერთი ვარჯიშიც კი არ გაუცდენია. მატჩის შემდეგ ხშირად მოდის და თამაშის გარჩევას ესწრება, ტაქტიკაში გარკვევასაც ცდილობს. მოკლედ, დიდებული ადამიანია და ბედნიერი ვარ, რომ მას ვიცნობ. მისტერ აბრამოვიჩი ჟოზე მაურინიუს ბოლომდე ენდობა და მისგან ყველაფრის უმალ მოგებას არ ითხოვს“.

ირაკლი ნინიძე

ლონდონში ნაძალადევ ტრანსფერზე საუბრობენ

ლონდონის „ვესტ ჰემმა“ პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც კლუბის ორი ახალწვეული — კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო წარუდგინა ჟურნალისტებს და ქომაგებს. მოგეხსენებათ, „კორინთიანსიდან“ ორი არგენტინელის გადასვლა ცოტა მოულოდნელად, ზაფხული სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, 31 აგვისტოს გადაწყდა. ამან ვესტჰემელთა მთავარი მწვრთნელი ალან პერდიუც გააკვირვა.

„ეს, როგორც ნებისმიერი ქომაგისთვის, ჩემთვისაც დამაინტრიგებელია, მაგრამ არ მეშინია. პირიქით, მიხარია, რომ ორი უმაღლესი კლასის მოთამაშე დაგვემატა და ვფიქრობ, გულშემატკივრებიც იმავე აზრზე არიან. ამ შესაძლო ტრანსფერების შესახებ 30 აგვისტოს გავიგე და, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი მქონია“ — თქვა პერდიუმ.

ბრიტანული პრესა ავრცელებდა ინფორმაციას, პერდიუს ტევესი და მასკერანო არ სურდა და ისინი „ვესტ ჰემში“ ხელმძღვანელობის გარკვეული ინტერესების გამო აღმოჩნდნენო.

ალან პერდიუ: „ამ პრესკონფერენციის ჩატარება იმიტომაც მსურდა, რომ პრესაში ბევრი ცუდი წავიკითხე და ყველაფრისთვის პასუხი გამეცა. ამბობდნენ, თითქოს მე ამ ტრანსფერების წინააღმდეგი ვიყავი და ორივეს სათადარიგოთა სკამზე დასმას ვაპირებ, მაგრამ ეს სიცრუეა. სანამ „ვესტ ჰემში“ ვარ, ასეთი რამ არ მოხდება. მათ ჩვენთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და ეს ძალიან მახარებს. კლუბისთვის ეს ორი ფეხბურთელი დიდი ძალაა და ვფიქრობ, ჩვენთვის ახალი ეპოქა იწყება.“

მასკერანომ კი აღნიშნა, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედიც“ უტრიალებდა, მაგრამ ამ ვარიანტმა არ დააინტერესა, რადგან „წითელი ეშმაკების“ ყოფილმა ფეხბურთელმა და მისმა თანამემამულე ხუან სებასტიან ვერონმა „ოლდ ტრეფორდზე“ გადასვლა არ ურჩია.

„ვერონს ველაპარაკე და მან მითხრა, რომ ფერგიუსონს არგენტინელი ფეხბურთელების მაინცდამაინც არ სჯერა, რამაც „მანჩესტერისადმი“ ინტერესი გამინელა. სხვა შემოთავაზებებიც გვქონდა, მაგრამ სერიოზული ერთიც არ იყო. „ვესტ ჰემს“ კი ჩვენი შეძენა ძალიან სურდა და გვიხარია, რომ დღეს აქ ვართ“ — განაცხადა მასკერანომ.

გიორგი კაკაბაძე

მესამე ბუნდესლიგა?

ბუნდესლიგის კლუბების წარმომადგენლებისა და გერმანიის ლიგის ჩინოვნიკების გუშინდელ შეხვედრაზე ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონალლიგების გაუქმების პერსპექტივაზე ისაუბრეს და საინტერესო შეთანხმებამდე მივიდნენ. საუბარია მესამე ბუნდესლიგის შექმნაზე, რომელიც წესით, ძალაში 2008-09 წლების სეზონიდან უნდა შევიდეს. თუმცა ეს საკითხი ახლა, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ პარასკევს, საგანგებო სხდომაზე უნდა განიხილოს.

მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონალლიგებში 18-18 გუნდი თამაშობს. გერმანიის ლიგას კი სურს, რეგიონალლიგები შეაერთოს და ოცკლუბიანი მესამე ბუნდესლიგა შექმნას, რომელშიც პირველ ბუნდესლიგაში მოთამაშე კლუბების სამყვარულო და მეორე გუნდების რაოდენობა ოთხამდე შემცირდება. რა პრინციპით შეირჩევა ეს ოთხი გუნდი, ჯერ უცნობია.

რეგიონალლიგებში ბევრი სამოყვარულო გუნდი თამაშობს (მათ თასზე გამოსვლის უფლებაც აქვთ), მაგრამ ამაზე ზემოთ წასვლის ნებას ამ კლუბებს არ აძლევენ. ასე რომ, თუ ამ ვარიანტს ფეხბურთის ასოციაც მოიწონებს და დაამტკიცებს, ეს, გუნდების გაპროფესიონალებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს (მათ სხვა გზა ფაქტობრივად აღარც დარჩებათ) და ალბათ, ეს მომავალი სეზონში მოხდება.

კოკი კანდელაკი

გამეორება მინდა

ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ ფეხბურთში ვიდეოგამეორებების დანერგვას ემხრობა. ამ აზრამდე ანრი, ჩემპიონთა თასის ფინალის შემდეგ მისულა. მისი აზრით, ბარსელონელი სამუელ ეტოოს გამთანაბრებელი გოლი „არსენალის“ კარში არ უნდა ჩათვლილიყო და მსაჯს რომ მომენტი გამეორებაზე ენახა, ბურთს არ ჩათვლიდა.

„მატჩის ბედი თამაშგარედან გატანილმა გოლმა გადაწყვიტა — უთხრა ანრიმ „ფრანს ფუტბოლს“ — მსაჯმა წამსვე უნდა ნახოს სადავო მომენტი. მან დიდი დიდი ნახევარი წუთი წაიღოს, იმაზე ოთხჯერ ნაკლები, გატანილი გოლის საზეიმო აღნიშვნას რომ ანდომებენ“.

ირაკლი გამყრელიძე

პაპარესტას სტვენა მოენატრება

ცნობილი იტალიელი მსაჯი ჯანლუკა პაპარესტა, რომელიც მრავალი წელია, სერია A-ში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, შესაძლოა, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. მართალია, კალჩოპოლიმ მას ფეხბურთიდან სამი თვით მოკვეთა აკმარა, მაგრამ ქვეყნის არბიტრთა ასოციაცია და პროკურორი მარჩელო კარდონა ახალ გამოძიებას აწარმოებენ.

განსაკუთრებული აქცენტი „მილანის“ ჩინოვნიკ ლეანდრო მეანისთან პაპარესტას საეჭვო ურთიერთობაზე და 2004 წლის ნოემბრის „რეჯინა“ — „იუვენტუსის“ მატჩზე კეთდება. ის შეხვედრა ტურინელებმა 1:2 წააგეს. მატჩის ბოლო წუთზე კი პაპარესტამ და თანამსაჯმა „იუვეს“, წესების დაცვით გატანილი გოლი გაუუქმეს თამაშგარეს მიზეზით. როგორც ამბობენ, ამ ინციდენტის მერე „ბებერი ქალბატონის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი პაპარესტას, მსაჯებისთვის განკუთვნილ ოთახში ეწვია, კარი ჩაუკეტა და კარგა ხანს ელაპარაკა.

მარჩელო კარდონა: „საკმაოდ სერიოზულ ფაქტებთან გვაქვს საქმე და მათი დაწვრილებით გამოძიებაა საჭირო. ის ხალხი კი, ვინც წესებს პატივს არ სცემს, უნდა დაისაჯოს. მით უმეტეს, როცა საქმე მსაჯებს ეხება. არბიტრი მინდორზე მოსამართლეა და იგი პატიოსნად უნდა იქცეოდეს.“

იტალიური პრესის ცნობით, ამ საკითხთან დაკავშირებით კვირის ბოლომდე ბევრი რამ გახდება ცნობილი და პაპარესტას ამბავსაც მალე შევიტყობთ.

გიორგი ძაძაბაძე

პესოტო გამოწერეს

ჯანლუკა პესოტო „მილენტეს“ ჰოსპიტალიდან გამოწერეს. მისი სარეაბილიტაციო პერიოდის პირველი ეტაპი უფრო მალე დასრულდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ტურინის „იუვენტუსის“ მენეჯერის გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფად მიდის. არადა, ერთი პირობა პესოტო სიკვდილის პირასაც კი იყო. შეგახსენებთ, რომ 27 ივნისს იგი „იუვეს“ სათავო ოფისის სახურავიდან (დაახლოებით 30 მეტრის სიმაღლიდან) გადმოხტა და მანქანაზე დაეცა. თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზად დეპრესია სახელდება.

„პაციენტის ამჟამინდელი მდგომარეობა ნორმალურია. ყველაფერი კარგად მიდის და თავად პესოტოც მშვენიერ გუნებაზეა. იგი სარეაბილიტაციო კურსს ერთ-ერთ კერძო კლინიკაში გააგრძელებს“ — ნათქვამია „მილენტეს“ ოფიციალურ განცხადებაში.

ბოლო ერთი თვე პესოტოს მარჩელო დე პოლი მკურნალობდა, რომელიც აღფრთოვანდა თავისი პაციენტით, როგორც პიროვნებით: თუმცა, ბოლომდე როდის გამოჯანმრთელდება პესოტო, ჯერ ზუსტად ვერ ამბობენ. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ეს ახალ წლამდე მოხდება.

დე პოლი: „იგი საოცარი შემართებით გადის სარეაბილიტაციო კურსს და ეს მალე გამოჯანმრთელებაში ძალიან ეხმარება. ჰოსპიტალში ყველას კარგი ურთიერთობა გვქონდა ამ თბილ და მეგობრულ ადამიანთან.“

გიორგი ძაძაბაძე

ჰანოვერელი მწვრთნელის სიმღერა: სისხამ დილით ბადით ხელში...

„ჰანოვერის“ დროებით მწვრთნელად ამ კლუბის ყოფილი ფეხბურთელი, დანიელი მიხაელ შიონბერგი დანიშნეს. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ პეტერ ნოირურერი მოხსნეს, რადგან ბუნდესლიგის სამ ტურში მის ხელქვეით „ჰანოვერმა“ სამივე მატჩი წააგო და ცხრილის ფსკერზე დაეშვა.

39 წლის შიონბერგმა კარიერა „ესბიერგში“ დაიწყო, საიდანაც „ჰანოვერში“ გადავიდა და ოთხი სეზონი (1990-1994) გაატარა. მაშინ კლუბი მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა. დანიელმა მცველმა 123 მატჩი ჩაატარა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში, რის გამოც ლუდის იქაურმა მწარმოებელმა ორიგინალურად დაასაჩუქრა — შიონბერგს ცხოვრების ბოლომდე უფასოდ შეუძლია სვას ჰანოვერული ლუდი.

მეორე ბუნდესლიგიდან 1994 წელს სამშობლოში დაბრუნდა და „ოდენსეში“ ორი სეზონი ითამაშა, მერე კი ისევ გერმანიას, ამჯერად „კაიზერსლაუტერნს“ მიაშურა, რომელსაც 1996-ში პირველ ბუნდესლიგაში გადასვლაში დეხმარა.

კარიერის დასრულების შემდეგ „ჰანოვერის“ სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა და გუშინ მთავარ მწვრთნელობასაც გამოჰკრა ხელი.

საინტერესოა, რომ მიხაელ შიონბერგს ფეხბურთის თამაშის გარდა... სათევზაო ბადეების ქსოვაც ეხერხება და „ოდენსეში“ ყოფნისას კლუბს კარის დახეული ბადეების შეკეთებაში ეხმარებოდა.

ვაჟა ხუციშვილი

ყვითელი მომავალი

„ვილიარეალის“ გაესპანელებულმა ბრაზილიელმა მარკოს სენამ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. 30 წლის ნახევარმცველი გასულ ზაფხულს ახლოს იყო „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლასთან, მაგრამ აგვისტოს ბოლოს გარიგება აღარ შედგა. ახლა მან „ყვითლებში“ დარჩენა გადაწყვიტა, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე კი წერია: „ვილიარეალი“ და მარკოს სენა კონტრაქტის სამი წლით გაგრძელებაზე შეთანხმდნენ. ფეხბურთელი, რომელსაც ხელშეკრულების ვადა 2007-ის 30 ივნისს ეწურებოდა, გუნდში 2010 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს“.

თავად სენამაც დაადასტურა, რომ „ვილიარეალიდან“ წასვლა მაინცდამაინც არ უნდოდა და მომავალ სეზონში კვლავაც გულიანად გაირჯება: „მიუხედავად ზაფხულის სატრანსფერო მითქმა-მოთქმისა, რეალურად, აქ დარჩენა მსურდა. ვფიქრობ, რომ გუნდი უახლოეს წლებში რაიმე ჯილდოს აუცილებლად მოიგებს“.

თავის მხრივ, კლუბის პრეზიდენტი ფერნანდო როიგიც კმაყოფილია: „ვილიარეალის“ შეფები და მწვრთნელები ცდილობდნენ მარკოს სენას შენარჩუნებას და მოხარული ვარ, რომ ახალ კონტრაქტს ხელი მოაწერა“.

გიორგი დარჯანია

ლევანტეში ლუინდულაც დაეტევა

ესპანურმა „ლევანტემ“ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა. „ლიონის“ ფრანგი ფორვარდი პეგი ლუინდულა, რომელიც ქირით „მარსელელია“, ერთი წელი ვალენსიელთა რიგებში ითამაშებს. კონტრაქტის ფინანსური მხარე უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ „მარსელი“ „ლიონის“ ყოფილი ფორვარდის გაყიდვას არ აპირებს და იგი მომავალ ზაფხულს „ველოდრომზე“ დაბრუნდება.

პრიმერადივიზიონში დაბრუნებულმა „ლევანტემ“ ზაფხულის სატრანსფერო სეზონი მართლაც კარგად გამოიყენა — ლუინდულამდე ვალენსიური კლუბის შემადგენლობა ლორენ რობერმა, ოლივიე კაპომ, ფრედერიკ დეუმ, მეტიუ ბერსონმა და დამიანო ტომაზიმ გააძლიერეს. თუმც მიუხედავად ამისა, ხუან რამონ ლოპეს კაროს შეგირდების მთავარი ამოცანა მაინც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა.

კოკი კანდელაკი

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		9 სექტემბერი						
15:45	1	ევერტონი-ლივერპული	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
18:00	2	არსენალი-შიდლსბრო	1.30	4.40	10.00	1.00	1.15	3.05
18:00	4	ბოლტონი-უოტფორდი	1.70	3.40	4.80	1.13	1.25	1.99
18:00	5	წელსი-ჩარლტონი	1.15	6.60	15.00	1.00	1.06	4.58
18:00	7	პორტსმუთი-უიგანი	1.85	3.30	4.10	1.18	1.27	1.82
18:00	8	ნიუკასლი-ფულემი	1.75	3.50	4.30	1.16	1.24	1.92
18:00	9	შეფილდი-ბლეკბერნი	2.60	3.20	2.55	1.43	1.28	1.41
20:15	10	მანჩესტერი-ტოტენჰემი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
		10 სექტემბერი						
19:00	12	ვესტ ჰემი-ასტონ ვილა	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
		11 სექტემბერი						
23:00	13	რედინგი-სიტი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		9 სექტემბერი						
18:00	14	ბარნსლი-სტოკი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	15	ბირმინგემი-პალი	1.50	3.40	6.80	1.04	1.22	2.26
18:00	16	ბარნლი-კოლჩესტერი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
18:00	17	ქოვენთრი-ნორვიჩი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
18:00	18	დერბი-სანდერლენდი	2.40	3.10	2.70	1.35	1.27	1.44
18:00	19	ლიდსი-ვულვერჰემპტონი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
18:00	20	იფსვიჩი-საუთჰემპტონი	2.55	3.10	2.55	1.39	1.27	1.39
18:00	21	ლუტონი-კრისტალ პალასი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
18:00	22	პლიმუთი-ქვრ	1.85	3.20	3.90	1.17	1.25	1.75
18:00	23	პრესტონი-კარდიფი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	24	საუთენდი-უენსდი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
18:00	25	ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი	1.72	3.30	4.50	1.13	1.24	1.90
		ინგლისი. I ლიგა						
		8 სექტემბერი						
22:45	26	ტრანმერი-ბრისტოლი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		9 სექტემბერი						
18:00	27	კარლაილი-ნორთჰემპტონი	1.83	3.30	3.75	1.17	1.22	1.75
18:00	28	ჩესტერფილდი-როტერჰემი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
18:00	29	პორტ ვეილი-ბლეკპული	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
18:00	30	დონკასტერი-ჯილინგემი	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
18:00	31	ლეიტონი-ბრენტფორდი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	32	მილუოლი-ბრაიტონი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
18:00	33	ოლდჰემი-სკანთორპი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	34	ბორნმუთი-ქრიუ	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	35	წელტენჰემი-პადერსფილდი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
18:00	36	სუონსი-ბრედფორდი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	37	იოვილი-ნოტინგემი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
		ინგლისი. II ლიგა						
		9 სექტემბერი						
18:00	38	ბოსტონი-სტოკპორტი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
18:00	39	ბერი-ტორკი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
18:00	40	ნოტსი-აერინგტონი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
18:00	41	შრიუსბერი-ლინკოლნი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	42	უოკმბი-ჩესტერი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
18:00	43	გრიმსბი-უოლსოლი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
18:00	44	მაკლსფილდი-ბარნეტი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	45	მენსფილდი-პერეფორდი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
18:00	46	დონსი-პარტლეული	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
18:00	47	როუერსი-როჩდეილი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
18:00	48	პიტერბრო-დარლინგტონი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
18:00	49	რექსემი-სუინდონი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		9 სექტემბერი						
18:00	62	აბერდინი-სელტიკი	6.00	3.70	1.50	2.28	1.20	1.06
18:00	63	დანდი იუნაიტედი-პიბერნიანი	2.65	3.10	2.45	1.42	1.27	1.36
18:00	64	ჰარტსი-სტ.მირენი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
18:00	66	რეინჯერსი-ფოლკირკი	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
18:00	67	დანფერმლაინი-კილმარნოკი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
18:00	68	მეზერველი-ინვერნესი	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
18:00	69	პარტიკი-სტ.ჯონსტონი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
18:00	70	როსი-ქუინი	1.80	3.40	3.70	1.17	1.21	1.77
18:00	71	გრეტნა-დანდი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
18:00	72	ჰამილტონი-კლაიდი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
18:00	73	ლივინგსტონი-ერდრი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
18:00	74	ეარი-პიტერჰედი	2.00	3.30	3.00	1.24	1.20	1.57
18:00	75	ბრეჩინი-ალაა	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
18:00	76	სტირლინგი-ფორფარი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
18:00	77	კუდენბეთი-მორტონი	2.65	3.30	2.30	1.46	1.23	1.35
18:00	78	სტრანრაერი-რეითი	1.75	3.50	3.90	1.16	1.20	1.84

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
18:00	79	არბროთი-ალბიონი	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
18:00	80	ბერიკი-ისტ სტირლინგი	1.35	4.30	6.50	1.02	1.11	2.58
18:00	81	ელგინი-დამბარტონი	2.85	3.40	2.10	1.55	1.20	1.29
18:00	82	მონტროუზი-ისტ ფაიფი	2.85	3.30	2.10	1.52	1.20	1.28
18:00	83	სტენჰაუსმური-ქუინს პარკი	1.60	3.60	4.30	1.10	1.16	1.95
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		9 სექტემბერი						
20:30	94	ალტახი-აუსტრია	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
20:30	95	რიდი-გრაცერი	2.50	3.00	2.65	1.36	1.28	1.40
20:30	97	ტიროლი-მატერსბურგი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
20:30	100	შტურმი-პაშინგი	2.35	3.00	2.85	1.31	1.28	1.46
		10 სექტემბერი						
17:30	98	რაპიდი-ზალცბურგი	3.20	3.00	2.20	1.54	1.30	1.26
		ავსტრია. I დივიზიონი						
		8 სექტემბერი						
21:00	101	კაფენბერგი-პარტბერგი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
21:00	102	შვანენშტადტი-კერნტენი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
21:00	103	გრატკორნი-ლინცერი	2.35	3.00	2.75	1.31	1.26	1.43
21:00	104	ლუსტენაუ-აუსტრია(ლ)	2.90	3.10	2.15	1.49	1.23	1.26
21:00	105	აღმირა-ლეობენი	2.70	3.00	2.40	1.42	1.27	1.33
21:00	106	აუსტრია(ს)-პარნდიორფი	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		9 სექტემბერი						
19:45	107	გრასჰოპერი-აარაუ	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
19:45	108	შაფჰაუზენი-იანგ ბოიზი	3.80	3.20	1.85	1.73	1.24	1.17
		10 სექტემბერი						
18:00	109	ბაზელი-ციურიხი	2.20	3.10	3.10	1.28	1.28	1.54
18:00	110	სტ.გალენი-ლუცერნი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
18:00	111	თუნი-სიონი	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
		იტალია. სერია A						
		9 სექტემბერი						
20:00	464	რომა-ლივორნო	1.50	3.50	7.00	1.04	1.23	2.33
22:30	465	ფიორენტინა-ინტერი	2.90	3.00	2.40	1.47	1.31	1.33
		10 სექტემბერი						
22:30	466	ტორინო-პარმა	1.90	3.10	4.20	1.17	1.30	1.78
17:00	467	სამპდორია-ემპოლი	1.60	3.30	6.00	1.07	1.26	2.12
17:00	468	პალერმო-რეჯინა	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
17:00	469	მილანი-ლაციო	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
17:00	470	მესინა-უდინეზე	2.90	2.90	2.50	1.45	1.34	1.34
17:00	471	კიეგო-სიენა	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
17:00	472	კალიარი-კატანია	1.80	3.00	5.00	1.12	1.32	1.87
17:00	473	ატალანტა-ასკოლი	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
23:45	121	ატლეტიკო-ვალენსია	2.40	2.90	3.00	1.31	1.33	1.47
22:00	123	ბარსელონა-ოსასუნა	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
		10 სექტემბერი						
21:00	122	ვილიარეალი-ჟირონა	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
21:00	125	ბეტისი-ბილბაო	2.00	3.10	3.70	1.21	1.29	1.68
21:00	126	სოსიედადი-სევილია	2.95	3.10	2.30	1.51	1.29	1.32
23:00	127	სარაგოსა-ესპანიოლი	1.80	3.20	4.40	1.15	1.27	1.85
21:00	128	ხეტაფე-რასინგი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
21:00	129	ტარაგონა-სელტა	2.70	3.00	2.55	1.42	1.31	1.37
21:00	130	ლიგანეს-რეალი	6.50	3.60	1.50	2.31	1.21	1.05
21:00	131	მალიორკა-დეპორტივო	2.60	3.00	2.65	1.39	1.31	1.40
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		7 სექტემბერი						
22:30	155	კაენი-ფეცი	2.25	2.90	3.00	1.26	1.28	1.47
		საბერძნეთი						
		9 სექტემბერი						
20:00	224	ოლიმპიაკოსი-პაოკ	1.30	4.40	10.00	1.00	1.15	3.05
20:00	226	ატრომიტოსი-აეკ	4.00	3.10	1.90	1.74	1.28	1.17
22:00	231	პანათინაიკოსი-ქსანთი	1.35	4.00	10.00	1.00	1.18	2.85
		10 სექტემბერი						
18:00	223	ირაკლისი-ოფი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
20:00	227	ეგალეო-არისი	2.45	2.90	2.90	1.32	1.32	1.45
22:00	228	ერგოტელისი-პანიონიოსი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
18:00	229	იონიკოსი-კალამარია	1.60	3.20	6.00	1.06	1.26	2.08
20:00	230	კერკირა-ოლიმპია	2.35	3.00	3.00	1.31	1 31	1.50
		თურქეთი						
		9 სექტემბერი						
21:00	235	კაისერი-გენჩლერბირლიგი	2.00	3.30	3.40	1.24	1.25	1.67
22:45	240	დენიზლი-გალათასარაი	6.50	3.60	1.50	2.31	1.21	1.05
20:00	242	ფენერბაჩე-ანტალია	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
		10 სექტემბერი						
21:00	233	ანკარა-რიზე	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
21:00	234	კონია-სივასპორი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	236	მანისა-ერეიესი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
22:45	237	ბეშიქთაში-ტრაბზონი	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00
20:00	239	ბურსა-საკარია	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
21:00	244	გზიანთეფე-ანკარაგიუჯიუ	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		სლოვაკეთი						
		8 სექტემბერი						
17:30	269	ინტერი-სინეკი	1.85	3.10	3.80	1.15	1.24	1.70
		9 სექტემბერი						
17:30	270	ბ.ბისტრიცა-ლუბნიცა	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
22:00	271	ჟილინა-სლოვანი	1.50	3.70	5.20	1.06	1.16	2.16
22:00	272	რუჟომბეროკი-ნიტრა	1.55	3.50	5.10	1.07	1.18	2.07
22:00	273	ტრენჩინი-პეტრჟალკა	3.00	2.80	2.30	1.44	1.30	1.26
22:00	274	ტრნავა-კოშიცე	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
		დანია. სუპერლიგა						
		9 სექტემბერი						
19:00	281	ესბიერგი-კოპენჰაგენი	4.30	3.50	1.70	1.92	1.21	1.14
21:00	283	ოლბორგი-ბრიონდბიუ	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		10 სექტემბერი						
17:00	284	ნორდსიელანდი-ჰორსენსი	1.50	3.70	5.80	1.06	1.19	2.25
17:00	285	რანდერსი-ვეილე	1.50	3.70	5.80	1.06	1.19	2.25
17:00	286	სილკებორგი-მიდტიულანდი	3.70	3.20	1.90	1.71	1.25	1.19
20:00	287	ოდენსე-ვიბორგი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		10 სექტემბერი						
20:00	296	ჰამარი-ოდ გრენლანდი	2.20	3.30	3.00	1.32	1.26	1.57
20:00	297	სანდეფიორდი-რუსენბორგი	4.50	3.70	1.65	2.03	1.20	1.14
20:00	298	მოლდე-ვიკინგი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
20:00	299	ტრომსიო-ლინი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
20:00	300	ვოლერენგა-ფრედრიკსტადი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
22:00	301	სტარტი-ლილესტრიომი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
		11 სექტემბერი						
21:00	302	სტაბეკი-ბრანი	2.65	3.30	2.45	1.46	1.27	1.40
		შვედეთი. ალსვენსკა						
		9 სექტემბერი						
18:00	312	ელფსბორგი-აიკ	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
		10 სექტემბერი						
19:00	313	ჰამარბი-კალმარი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		11 სექტემბერი						
21:00	314	იორგრიტე-ჰალმსტადი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
21:00	316	იოსტერსი-გეფლე	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		შვედეთი. სუპერეტა						
		7 სექტემბერი						
21:00	483	ტრელებორგი-სუნდსვალი	1.60	3.70	4.90	1.11	1.20	2.10
		ამხანაგური მატჩები						
		6 სექტემბერი						
22:15	429	შვეიცარია-კოსტა რიკა	1.50	3.40	6.50	1.04	1.21	2.23
22:15	430	ავსტრია-ეკვადორი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
		სამხრეთ ამერიკის თასი						
		6 სექტემბერი						
23:45	489	პარანა-ატლეტიკო პრ	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
23:45	490	სანტოსი-კრუზეირო	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
23:45	491	ვასკუ და გამა-კორინთიანსი	2.05	3.20	3.00	1.24	1.21	1.54
		7 სექტემბერი						
23:45	492	ბოტაფოგო-ფლუმინენსე	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		8 სექტემბერი						
19:00	534	პლზენი-სლავია	2.20	4.00	2.00	1.41	1.04	1.33
19:00	535	კარლოვი ვარი-ლიბერეცი	2.30	4.00	2.00	1.46	1.06	1.33
19:00	536	კლადნო-ლიტვინოვი	2.00	4.00	2.20	1.33	1.04	1.41
19:00	537	პარდუბიცე-ვსეტინი	1.30	4.20	4.80	1.00	1.02	2.24
19:00	538	სპარტა-ზნოიმო	1.55	4.20	3.30	1.13	1.05	1.84
19:00	539	ტრინეცი-ბულეიოვიცე	1.95	4.00	2.40	1.31	1.07	1.50
19:00	540	ზლინი-ვეტკოვიცე	1.90	4.00	2.30	1.28	1.04	1.46
		ჰოკეი. გერმანია						
		7 სექტემბერი						
21:30	500	კიოლნი-პანოვერი	1.80	4.20	2.70	1.25	1.08	1.64

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		8 სექტემბერი						
21:30	501	აუგსბურგი-ჰამბურგი	2.30	4.10	2.05	1.47	1.08	1.36
21:30	502	ისერლონი-დიუსელდორფი	2.30	4.20	1.90	1.48	1.04	1.30
21:30	503	კრეფელდი-აინტრაქტი	2.50	4.10	1.85	1.55	1.05	1.30
21:30	504	მანჰაიმი-ფრანკფურტი	1.80	4.20	2.55	1.25	1.05	1.58
21:30	505	ნიურნბერგი-დუისბურგი	1.40	4.30	4.60	1.05	1.07	2.22
		ჰოკეი. რუსეთი						
		7 სექტემბერი						
09:30	514	აქერი-აკ ბარსი	3.30	4.20	1.40	1.84	1.00	1.04
14:00	515	ცსკა-სიბირი	1.45	4.30	3.50	1.08	1.02	1.92
14:00	516	კრილია-ნეფტეხიმიკი	2.60	4.20	1.65	1.60	1.00	1.18
14:00	517	ლადა-დინამო	2.05	4.20	2.20	1.37	1.06	1.44
14:00	518	მაგნიტოგორსკი-სოკერსტალი	1.35	4.50	4.60	1.03	1.04	2.27
14:00	519	ს.იულაევი-მკდ	1.35	4.20	4.30	1.02	1.02	2.12
14:00	520	ტრაქტორი-ატკ	2.30	4.30	1.90	1.49	1.04	1.31
14:00	521	ვიტიაზი-ნოვოკუზნეცკი	1.80	4.30	2.40	1.26	1.02	1.54
		8 სექტემბერი						
14:00	522	ლოკომოტივი-ავანგარდი	1.85	4.30	2.50	1.29	1.06	1.58
		ჩოგბურთი კაცები US Open						
		6 სექტემბერი						
19:00	486	ნადალი-იუნი	1.10	5.00				
		ეწ 2008 შესარჩევი მატჩები						
		6 სექტემბერი						
21:00	395	ისრაელი-ანდორა	1.03	9.00	40.00	1.00	1.00	7.34
18:00	396	აზერბაიჯანი-ყაზახეთი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
19:00	397	რუსეთი-ხორვატია	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
19:30	398	ლიტვა-შოტლანდია	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
20:00	400	სომხეთი-ბელგია	8.00	3.90	1.40	2.62	1.19	1.03
21:00	401	თურქეთი-მალტა	1.03	9.00	40.00	1.00	1.00	7.34
21:00	402	ფინეთი-პორტუგალია	4.80	3.40	1.65	1.99	1.22	1.11
21:00	403	ნორვეგია-მოლდოვა	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
21:00	404	ბულგარეთი-სლოვენია	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
21:30	405	შვეიცარია-ლიხტენშტაინი	1.02	9.00	45.00	1.00	1.00	7.50
22:00	406	ალბანეთი-რუმინეთი	5.10	3.40	1.65	2.03	1.24	1.11
22:05	407	ისლანდია-დანია	4.70	3.30	1.70	1.93	1.24	1.12
22:15	408	სლოვაკეთი-ჩეხეთი	2.65	3.10	2.50	1.42	1.28	1.38
22:15	409	ბოსნია-უნგრეთი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
22:30	410	ჰოლანდია-ბელარუსი	1.18	5.20	15.00	1.00	1.09	3.86
22:30	411	ჰოლანეთი-სერბეთი	2.70	3.10	2.50	1.44	1.29	1.38
22:45	412	სან მარინო-გერმანია	50.00	11.00	1.01	9.01	1.00	1.00
23:00	413	საფრანგეთი-იტალია	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
23:00	414	მაკედონია-ინგლისი	12.00	5.20	1.20	3.62	1.09	1.00
23:15	415	ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი	13.00	5.20	1.20	3.71	1.09	1.00
		აზიის თასი 2007 შესარჩევი მატჩები						
		6 სექტემბერი						
17:00	416	იემენი-იაპონია	10.00	5.50	1.17	3.54	1.04	1.00
18:00	417	ერაყი-პალესტინა	1.35	4.00	7.50	1.00	1.14	2.60
20:00	418	სირია-ირანი	5.80	4.00	1.40	2.36	1.12	1.03
15:30	419	სინგაპური-ინდოეთი	5.40	3.50	1.50	2.12	1.17	1.04
21:30	424	კუვეიტი-ავსტრალია	5.20	3.40	1.55	2.05	1.19	1.06
19:00	427	საუმირეკები-იორდანია	1.40	3.50	6.50	1.00	1.15	2.27
		ეწ. შესარჩევი მატჩები(21)						
		6 სექტემბერი						
16:00	437	რუსეთი(21)-უნგრეთი(21)	1.30	4.20	7.80	1.00	1.11	2.73
18:30	438	ჩეხეთი(21)-ბელარუსი(21)	1.35	4.40	6.50	1.03	1.11	2.62
19:00	439	ნორვეგია(21)-ბოსნია(21)	1.60	3.60	4.50	1.10	1.18	2.00
19:00	440	სერბეთი(21)-ლიტვა(21)	1.30	4.20	8.50	1.00	1.12	2.81
20:00	441	თურქეთი(21)-ისრაელი(21)	1.40	3.70	6.70	1.01	1.15	2.38
21:30	442	შვეიცარია(21)-ინგლისი(21)	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
22:30	443	ბელგია(21)-საბერძნეთი(21)	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
22:30	444	ხორვატია(21)-უკრაინა(21)	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10396	აზერბაიჯანი-ყაზახეთი	2.05	2.00	5.50	1.01	1.49	1.46
10397	რუსეთი-ხორვატია	2.40	1.90	4.00	1.06	1.50	1.28
10398	ლიტვა-შოტლანდია	3.15	1.90	3.00	1.18	1.53	1.16
10400	სომხეთი-ბელგია	7.00	2.30	1.70	1.73	1.36	1.00
10402	ფინეთი-პორტუგალია	5.30	2.10	2.05	1.50	1.47	1.03
10403	ნორვეგია-მოლდოვა	1.50	2.70	8.50	1.00	1.27	2.04
10404	ბულგარეთი-სლოვენია	2.05	2.00	5.40	1.01	1.48	1.45
10407	ისლანდია-დანია	5.30	2.00	2.10	1.45	1.50	1.02
10408	სლოვაკეთი-ჩეხეთი	3.10	2.00	2.90	1.21	1.49	1.18
10409	ბოსნია-უნგრეთი	2.25	2.00	4.90	1.05	1.54	1.42
10411	ჰოლანეთი-სერბეთი	3.10	2.00	3.00	1.21	1.52	1.20
10413	საფრანგეთი-იტალია	2.70	1.90	3.60	1.11	1.54	1.24
10414	მაკედონია-ინგლისი	10.00	2.70	1.50	2.12	1.30	1.00
10415	ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი	10.00	2.70	1.50	2.12	1.30	1.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11396	აზერბაიჯანი-ყაზახეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11397	რუსეთი-ხორვატია	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11398	ლიტვა-შოტლანდია	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11400	სომხეთი-ბელგია	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.70
11402	ფინეთი-პორტუგალია	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11403	ნორვეგია-მოლდოვა	1.40	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11404	ბულგარეთი-სლოვენია	2.35	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11407	ისლანდია-დანია	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.30
11408	სლოვაკეთი-ჩეხეთი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11409	ბოსნია-უნგრეთი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11411	ჰოლანეთი-სერბეთი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11413	საფრანგეთი-იტალია	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11414	მაკედონია-ინგლისი	12.00	12.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.40
11415	ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი	12.00	12.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.40

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16396	აზერბაიჯანი-ყაზახეთი	1.25	3.10
16397	რუსეთი-ხორვატია	1.40	2.45
16398	ლიტვა-შოტლანდია	1.80	1.80
16400	სომხეთი-ბელგია	4.50	1.10
16402	ფინეთი-პორტუგალია	3.20	1.25
16403	ნორვეგია-მოლდოვა	1.02	7.00
16404	ბულგარეთი-სლოვენია	1.25	3.10
16407	ისლანდია-დანია	3.30	1.20
16408	სლოვაკეთი-ჩეხეთი	2.00	1.65
16409	ბოსნია-უნგრეთი	1.30	2.75
16411	ჰოლანეთი-სერბეთი	1.80	1.80
16413	საფრანგეთი-იტალია	1.50	2.20
16414	მაკედონია-ინგლისი	7.00	1.03
16415	ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი	6.50	1.03

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

14396	აზერბაიჯანი-ყაზახეთი	1.30	2.50
14397	რუსეთი-ხორვატია	1.60	2.30
14398	ლიტვა-შოტლანდია	1.95	1.85
14400	სომხეთი-ბელგია	2.60	1.20
14402	ფინეთი-პორტუგალია	2.40	1.40
14403	ნორვეგია-მოლდოვა	1.07	2.80
14404	ბულგარეთი-სლოვენია	1.40	2.40
14407	ისლანდია-დანია	2.40	1.40
14408	სლოვაკეთი-ჩეხეთი	1.80	1.80
14409	ბოსნია-უნგრეთი	1.40	2.40
14411	ჰოლანეთი-სერბეთი	1.80	1.80
14413	საფრანგეთი-იტალია	1.80	2.00
14414	მაკედონია-ინგლისი	2.60	1.02
14415	ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი	2.60	1.02

რამდენი გოლი გაგა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12396	აზერბაიჯანი-ყაზახეთი	1.65	1.95
12397	რუსეთი-ხორვატია	1.60	2.00
12398	ლიტვა-შოტლანდია	1.60	2.00
12400	სომხეთი-ბელგია	1.70	1.90
12402	ფინეთი-პორტუგალია	1.70	1.90
12403	ნორვეგია-მოლდოვა	2.10	1.60
12404	ბულგარეთი-სლოვენია	1.70	1.90
12407	ისლანდია-დანია	1.70	1.90
12408	სლოვაკეთი-ჩეხეთი	1.70	1.90
12409	ბოსნია-უნგრეთი	1.70	1.90
12411	ჰოლანეთი-სერბეთი	1.60	2.00
12413	საფრანგეთი-იტალია	1.50	2.20
12414	მაკედონია-ინგლისი	2.00	1.55
12415	ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი	2.10	1.60

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)

13396	აზერბაიჯანი-ყაზახეთი	1.90	1.70
13397	რუსეთი-ხორვატია	1.80	1.80
13398	ლიტვა-შოტლანდია	1.80	1.80
13400	სომხეთი-ბელგია	2.00	1.60
13402	ფინეთი-პორტუგალია	1.70	1.90
13403	ნორვეგია-მოლდოვა	2.50	1.40
13404	ბულგარეთი-სლოვენია	1.90	1.70
13407	ისლანდია-დანია	1.90	1.70
13408	სლოვაკეთი-ჩეხეთი	1.70	1.90
13409	ბოსნია-უნგრეთი	1.70	1.90
13411	ჰოლანეთი-სერბეთი	1.70	1.90
13413	საფრანგეთი-იტალია	1.90	1.70
13414	მაკედონია-ინგლისი	2.00	1.55
13415	ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი	2.10	1.55

ვარსკვლავები თითქოს ჩაქრნენ. დარჩა მარტო ზოლები...

— თქვენ უკვე თქვით, რომ იაპონიაში საუკეთესო მატჩი არგენტინასთან ჩაატარეთ და საუკეთესო შოუ დადგით. ისე ჩანდა, თითქოს თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ენერგიით აღსავსე იყავით.

— წინა ღამით ნახევარფინალის წაგების შემდეგ ბიჭები ცოტა უხასიათოდ იყვნენ. არ მსურდა, ასეთები მენახა. არ გვინდოდა, ასე მომხდარიყო და საბერძნეთთან წაგვეგო. ლას ვეგასის კემპიდან მოყოლებული ჩვენ თანდათან ვკრეფდით ფორმას და კარგადაც დავამთავრეთ.

— იმის თქმას ხომ არ ცდილობთ, რომ მთლიანობაში იმედგაცრუებული არ ხართ?

— დიახ, ვერ მივაღწიეთ იმას, რაც გვსურდა, მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ ზრდას და ამერიკული კალათბურთიც იზრდება.

— როგორ უნდა მოიგოთ ისეთი ტურნირი, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია?

— ჩვენი თამაში უნდა გავაუმჯობესოთ, რასაც ვაკეთებთ კიდეც. ჩვენ ივლისის შემდეგ სულ ვუმატებთ. ივლისი... ასე მგონია, ერთი წელი გავიდა ამერიკის ნაკრებში ჩემი, კარმელოს, დუეინისა და სხვა



აღარც მსოფლიო, აღარც ოლიმპიადა. ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრები არაფრის ჩემპიონი არ არის. მესამე ადგილი 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე და მესამე ადგილი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. არადა, როგორ ჟღერს — ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრები! ცოტა შეუფერებელი ხომ არაა ბრინჯაოს მედალი ასეთი სახელის მქონე გუნდისთვის? ალბათ, ამერიკელებიც ასე თვლიან, თუმც დიდი მონდომების მიუხედავად, ვერ შეატყობთ იმ იმედგაცრუებას, რაც ასეთი ამბიციის გუნდს ასეთი დონის ტურნირის ასეთი შედეგით დასრულებისას უნდა აწუხებდეს. წავაგეთ? მერე რა მოხდა. მალე ნბა-ს სეზონი დაიწყება. აი, ისაა ნამდვილი კალათბურთი. ასე ფიქრობს ამერიკელთა ერთ-ერთი კაპიტანი ლებრონ ჯეიმსი.

„ფიბა-ს კალათბურთი“ კი, როგორც ლებრონი უწოდებს, ძალიან შორსაა „ნამდვილი ამერიკულისგან.“ იქ წესებიც კი სხვანაირია და ის და მისიანები ფაბის ტურნირის მოგებას რაიმე დამატებითის მოგებად თვლიან და არა ცხოვრების უმთავრეს სპორტულ მიზნად, როგორც თუნდაც ევროპელები. ყოველ შემთხვევაში, ბრინჯაოსთვის დავაში არგენტინის დამარცხების და ტურნირის ასე დამთავრების შემდეგ ამერიკელთა ერ-ერთ ყოჩს უხალისობა დიდად არ ეტყობოდა, როცა ფიბას ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტს ქვემორე ინტერვიუს აძლევდა

ბიჭების შეკრების შემდეგ. ამდენი ხანია, ერთად ვართ, თითქოს ერთ ოჯახად ვიქეცით. დინებას უნდა გავყვეთ და ზრდა განვაგრძოთ. უნდა მივეჩვიოთ „ფიბას კალათბურთს“. უკვე შემიყვარდა კიდეც ეს ცოტა სხვანაირი თამაში. კარგი რამეა.

— თქვენ ამბობთ, რომ „ფიბას კალათბურთი“ შეგიყვარდათ?

— იცით, მე კალათბურთი ზოგადად მიყვარს, ნბა-სი იქნება, ფიბასი, თუ ეზოში ბიჭებთან თამაში. ბედნიერებაა, რომ ამ თამაშის ნაწილი ვარ. ფიბას კალათბურთი მოგეწონა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნბა-ს ზურგი შევაქციე. პირიქით, ერთი სული მაქვს, სეზონი როდის დაიწყება და გემოზე როდის ვითამაშებ.

— ორი წლის წინ თქვენ, ენტონი და ვეიდი 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდით, რომელიც ასევე ვერ მოიგეთ. რამე თუ შეიცვალა მას შემდეგ?

— ოო, ძალიან ბევრი შეიცვალა. მაშინ ჩვენ, ახალგაზრდები, ძირითადად, სკამიდან ვუყურებდით ტურნირს, სადაც ცოტა სხვაგვარადაა ყველაფერი და განსხვავდება იმ ტიპის თამაშისგან, რომელსაც ჩვენ მივეჩვიეთ. თანდათან ფიბას კალათბურთსაც ვეჩვევით. კარგი იქნებოდა, ყველა თამაში მოგვეგო და 2008 წლის ოლიმპიადაზე პირდაპირ მოვხვედრილიყავით, ახლა კი მომავალი წლისთვის ამერიკის საკვალიფიკაციო ტურნირში თამაში მოგვიწევს, მაგრამ აქაც შეიძლება კარგის დანახვა, ჩვენ კიდევ უფრო გავუშინაურდებით ფიბას კალათბურთს. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ეს სულ სხვა თამაშია, ეს არ არის ნბა. საერთაშორის ტურნირებზე სულ უნდა დაივიწყო ნბა და ახალ ნავში ახალი თავით და ცივი ტვინით გადაჯდე.

— ლებრონ, არგენტინასთან თქვენ გამთამაშებლის პოზიციაზე, თქვენზე გაცილებით დაბალი პეპე სანჩესის წინააღმდეგ ითამაშეთ. მწვრთნელმა დაგავალათ?

— დიახ, ნასაუზმევს მითხრა, შენ გაათამაშე ბურთიო. ცუდია, რომ ეს მანამდე ვერ მოვიფიქრეთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, მწვრთნელმა ზუსტი სვლა გააკეთა. შეხვედრის დიდი ნაწილი მე ვიყავი გამთამაშებელი და გუნდს გამარჯვება მოვაპოვებინე.

— ეს იმის ნიშანი ხომ არაა, რომ ნაკრებში მომავალშიც თქვენ იქნებით გამთამაშებელი?

— ალბათ, ასეც იქნება. მე კარგად შემიძლია ბურთის გათამაშებაც და მეტოქის გამთამაშებლის შეჩერებაც, ჩემი სისწრაფე და მოქნილობა მაძლევს იმის საშუალებას, რომ ფიბას კალათბურში ამ პოზიციაზეც საუკეთესოთა შორის ვიყო.



ამერიკელთა კაპიტნებმა კარმელო ენტონიმ, დუეინ ვეიდმა და ლებრონ ჯეიმსმა სამშობლოს ოქრო ვერ უპატაჟეს

ჯარმელო ენტონი: ჯერ გუნდი, მერე ოცნება

იაპონურ შთაბეჭდილებებზე საუბრობს ამერიკელთა კიდევ ერთი კაპიტანი კარმელო ენტონი, რომელსაც, ჩვენში დარჩეს და, კალათბურთი ფიბას და ნბა-ს ნაირსახეობებად არ დაუყვია

— საბერძნეთთან მარცხის შემდეგ რა განწყობით გახვედით მესამე ადგილისთვის თამაშში?

— ვერ ვიტყვი, რომ ნახევარფინალის წაგებამ დაგვთრგუნა. პირიქით, მონდომება შეგვმატა, რომ ბრინჯაოსთვის თამაშში მოედანზე მთელი სული და გული დაგვედო და არგენტინა დაგვემარცხებინა. ჩვენ არ უნდა წაგვეგო ზედიზედ ორი თამაში, თავს ვერ მივცემდით ამის უფლებას. ეს იყო აუცილებლად მოსაგები მატჩი და მოვიგეთ კიდეც. ამასთან, პირადად მახსოვს ორი წლის წინ ოლიმპიადაზე ნახევარფინალში არგენტინასთან წაგება. ახლა ჩვენ ძველი ვალი გავისტუმრეთ.

— ესე იგი, პრობლემა არ გქონიათ, გულდასაწყვეტი წაგებისა და ოქროს მედლის გარეშე დარჩენის მიუხედავად, ბრინჯაოსთვის თამაშში ბოლომდე დახარჯულიყავით...

— არა, რა პრობლემა. ყველას უნდოდა აშშ — აგენტინის ჯახის ხილვა. სამწუხაროდ, ეს ფინალი არ იყო. მაგრამ ჩვენი საქმე გავაკეთეთ და მოვიგეთ. ჩვენთვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თამაში იყო და მისი მოგების სურვილის ნაკლებობა არავისთვის შემიმჩნევია. განსაკუთრებით მოწადინებული იყო ლებრონ ჯეიმსი.

— რა გასწავლათ ამ ტურნირმა?

— პირველ რიგში ის, რომ აქ ყველა თამაში გადამწყვეტია და ყველა ისე უნდა ჩაატარო, თითქოს ფინალს თამაშობდე. საკუთარ თავს წაგების ნება არ უნდა დართო. მიუხედავად ამისა, ჩვენ თავს მოდუნების უფლება მივეცით. იცით, როგორ გამოვიდა საბერძნეთი ჩვენთან სათამაშოდ? თითქოს ამ ბიჭებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, ბოლომდე გვებრძოდნენ, პირველიდან ბოლო წუთამდე ყოველგვარი კომპრომისის გარეშე და ამან, ცოტა არ იყოს, შოკში ჩაგვაგდო. ასეთ მძიმე მატჩს არ ველოდით.

— ახლა კი თქვენ მომავალ ზაფხულს ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში მოგიწევთ თამაში.

— ჰო, ასეა. აქ რომ მოვდიოდით, იმედი გვქონდა, მოვიგებდით და მომავალ შესარჩევს თავიდან ავირიდებდით, პეკინში მოკლე გზით გვინდოდა წასვლა. სამწუხაროდ, ამ გზის ბოლომდე ვერ გავყევით და მომავალ წელს მოგვიწევს ოფლიღვრა.

— იაპონიაში გუნდს მონდომება ხომ არ აკლდა?

— ძალიან გთხოვთ, ეჭვქვეშ ნუ აყენებთ ჩვენს მონდომებას. ყველამ დიდი სამუშაო შეასრულა და არც ეს ბრინჯაო ჩამოვარდნილა ციდან, ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელიც დღითი დღე უმატებდა და კვლავ მოუმატებს.

— იმის თქმა გინდათ, რომ ეს გუნდი არ დაიშლება და ერთად გააგრძელებთ თამაშს?

— დიახ, და 2004 წლის და ამ გუნდებს შორის ესაა განსხვავება. კარგია, იცოდე, რომ ლებრონი, დუეინი, დუაიტ ჰოვარდი, კრის პოლი და სხვა ბიჭები კვლავ ერთად შევიკრიბებით და ერთად ვიბრძოლებთ ყველა კარგად გაცნობიერებული და შესწავლილი მიზნის მისაღწევად. ჩვენ ერთი ტურნირისთვის ერთი თვით შეკოწიწებული ნაკრები როდი ვართ.

ფაჩულია ავსტრიაში ითამაშებს



8 ივლისი თბილისი. ფოტო

ზაზა ფაჩულია ითამაშებს — ამოისუნთქა ქართული კალათბურთის ქომაგმა. გუშინ ფიბას სადისციპლინო კომიტეტის მოსამართლემ საქართველოს ნაკრების ლიდერი დაინდო და ლუქსემბურგთან მატჩის მომდევნო შეხვედრაშივე მისცა თამაშის უფლება.

ეს ამბავი საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გვამცნეს, სადაც ამ ორგანოს პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ავსტრიიდან დარეკა და კოლეგებს უთხრა, ფაჩულიას მხოლოდ ფულადი ჯარიმა აკმარესო. რამდენს გადაიხდის საქართველოს მხარე ჯარიმის სახით, ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ჩვენს ნაკრებს ობერვარტში მთავარი ლიდერი დაეხმარება.

რა თქმა გინდათ, ისედაც გეცოდინებათ, რომ ფაჩულიას ლუქსემბურგელ ცენტრ ელვინ ჯონსთან ხელჩართული ჩხუბი მოუხდა და იმ მატჩიდან ხომ გააძევეს, მისი ავსტრიასთან თამაშიც სათუო იყო.

ქართველები გუშინ გამთენიისას ჩავიდნენ ავსტრიის ქალაქ ობერვარტში და იმ დარბაზშიც ივარჯიშეს, სადაც დღეს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით კვირას ფინეთში შერცხვენილ მასპინძლებთან. ავსტრიამ სკანდინავიელებთან 50:87 წააგო და რეპუტაციის აღდგენას, ცხადია, საქართველოსთან შეეცდება.

მაშ ასე, დღეს, თბილისის დროით 22 საათსა და 20 წუთზე ქართველებს ავსტრიული გამოცდა ეწყებათ, რომელსაც პირდაპირ ეთერში აჩვენებს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი.

ირაკლი პერტაია

კაი, კაცო...

მასამ ჯუნთების მასა იცის

ეროვნული ნაკრების გუშინწინდელ ღია ვარჯიშს მავანი უცხოელიც ადევნებდა თვალს. წვრილთვალება მამაკაცი გულდასმით აკვირდებოდა ქართველების ვარჯიშს და ცხადია, მისმა ვინაობამ დაგვაინტერესა. იგი აღმოჩნდა იაპონური სპორტულგამაჯანსაღებელი მეთოდიკის, „კაცოს“ სპეციალისტი, რომელიც თბილისში ნიკა ცქიტიშვილს ესტუმრა. ამ ადამიანის შესახებ აქამდეც გვსმენოდა — ამომავალი მზის ქვეყნის შვილი, მასა, „სკიტას“ პირადი მწვრთნელია ფიზმომზადებაში. იაპონელს თან ჰქონდა სპეციალური სავარჯიშო ქამრები, რომლის ეფექტიც იქვე გამოგვაცდევინა. ხელის კუნთებზე გადაგვიჭირა და ამოძრავეთო, გვითხრა. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ხელში ათკილოიანი გირი გეჭირა, ძალიან ძნელი იყო ხელების მოხრა და გაშლა...

იაპონელი მასა საქართველოში სიამოვნებით იცხოვრებდა

— ჩვენი მეთოდიკის საშუალებით ადამიანის გაჯანსაღება გაცილებით მალე ხდება, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით — აგვიხსნა მასამ — ამ ქამრებით რომ სამ წუთს ირბენ, იგივე ეფექტი ექნება, ჩვეულებრივად ერთი საათი რომ ირბინო. „კაცო“ იაპონიაში საკმაოდ გავრცელებულია, მის ვარჯიშებს იყენებენ როგორც უბრალო მოქალაქეები, ასევე ცნობილი სპორტსმენები — ძიუდოისტები, ბეისბოლისტები, სუმოისტები. სხვათა შორის, მე კარგად ვიცნობ თქვენებურ კოკაის, რომელიც საიმპერატორო ბაშოს ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. მას ძალიან ბევრი იაპონელი ქომაგობს. კოკაიც არ ამბობს უარს „კაცოს“ ვარჯიშებზე, ისევე როგორც სხვა გამოჩენილი სუმოისტები.

— ნიკა ცქიტიშვილსაც ამ პროგრამით ავარჯიშებთ?

— დიახ და შედეგებიც სახეზეა. ნიკას საგრძნობლად მოემატა ჯანი და გამძლეობა. როცა მან შარშან თითი მოიტეხა, ამერიკელმა ექიმებმა სარეაბილიტაციოდ 9 კვირა დაუთქვეს. ჩემი ვარჯიშების წყალობით „სკიტა“ 2 კვირაში უკვე თამაშობდა.

— სხვა სპორტსმენებსაც ხომ არ ავარჯიშებთ?

— კალათბურთელებიდან მხოლოდ ნიკას და როდნი ვაიტს. ისე კი ამერიკაში ბევრი ბეისბოლისტი და ფეხბურთელია ჩემი კლიენტი. „კაცო“ შტატებშიც ძალიან პოპულარულია.

— საქართველოში ცქიტიშვილს ჩამოჰყევით?

— დიახ, ნიკამ დამპატიჟა და ძალიან აღფრთოვანებული ვარ. მომეწონა თქვენი ქვეყანა, ღირსშესანიშნაობები და, რაღა თქმა უნდა, სამზარეულო. „სკიტას“ დედამ, ქალბატონმა გულიკომ, ისეთი გემრიელი კერძები მოგვიმზადა, კინაღამ თითები ჩავიკვნიტე. დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი და ვიმუშავებდი საქართველოში.

ირაკლი პერტაია

61-ე ვუელტა 26 აგვისტო-17 სექტემბერი

„ასტანას“ ლიდერები ალექსანდრ ვინოკუროვი (მარჯვნივ) და ანდრეი კაშეჩკინი

ასტანამ მესამე გაიტანა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ რიგით 61-ე „ვუელტა ესპანას“ მონაწილეებმა მეათე ეტაპი ჩაიქრობეს და ჩრდილოეთ ესპანეთში, ასტურიის მიწაზე 199,3 კილომეტრი გაიარეს ავილესსა და მუესო დე ალტამირას, ან მეორენაირად, სანტილიანა დელ მარს შორის.

საკმაოდ დაკბილული რელიეფის, თუმც კი არამთიანი გზის ბოლოს, ფინიშამდე თორმეტი კილომეტრით ადრე პელოტონს მესამე კატეგორიის სირთულის უღელტეხილი ჰქონდა გადასალახი და ფინიშის წინაც მსუბუქი დახრილობის ხუთკილომეტრიანი აღმართი იყო.

რამდენიმე მრბოლი გაცილებით ადრე გაექცა პელოტონს, თუმცა, საბოლოო ჯამში ძირითადმა ჯგუფმა ისინი ჩაყლაპა და მერე კი, უკვე ფინიშისკენ, კარგა მოზრდილი, თხუთმეტკაციანი ჯგუფი მოწყდა ძირითად მასას და პირველობისთვის ბრძოლა ამ ჯგუფის წევრებს შორის გაჩაღდა.

ერთი პირობა შეტევის წამოწყება დანიელმა მიქაელ რასმუსენმა სცადა, მაგრამ ბოლო ორი „ტურ დე ფრანს-ის“ საუკეთესო სამთო მრბოლს ძალა აღარ ეყო და გამარჯვებას ვინ ჩივის, ბოლო ორ კილომეტრზე წუთნახევარი წააგო კონკურენტებთან. მერე, ფინიშამდე კილომეტრზე ნაკლები რომ რჩებოდა, ყაზახური "ასტანას" პორტუგალიელი მრბოლი სერჟიო პაულინიო გაიჭრა წინ და ეს შეტევა წარმატებული აღმოჩნდა — პაულინიომ თავიდან რომ მოიგო ოცოდე მეტრი, უპირატესობა აღარ დათმო და კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ უკვე მესამე ეტაპია, რბოლას „ასტანას“ წევრები იგებენ — შაბათკვირას ზედიზედ ორი გამარჯვება ალექსანდრ ვინოკუროვმა მოიპოვა და ახლა კი გუნდის ლიდერს მხარი პაულინიომაც აუბა.

თავად „ვანომ“ ძირითად ჯგუფთან ერთად 3 წუთისა და 54 წამის შემდეგ უწია ფინიშს. ამ ჯგუფში იყვნენ საერთო ჩათვლის სხვა მოწინავენიც ოქროსფერი მაისურას მფლობელ ალეხანდრო ვალვერდეს თამადობით და შედეგად, გენერალურ კლასიფიკაციაში ყველაფერი უცვლელად დარჩა — პირველზე კვლავაც ვალვერდეა და მას კვალში „ასტანას“ კიდევ ერთი წევრი ანდრეი კაშეჩკინი, ესპანელები კარლოს სასტრე, ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე და ვინოკუროვი მიჰყვებიან.

დღეს „ვუელტას“ გზა ჩრდილოეთიდან ცენტრალური ესპანეთისკენ მოუხვევს და პელოტონი ტორელავეგადან ბურგოსამდე 173,6 კილომეტრს გაივლის.

გია მუჯირი

მე-10 ეტაპი. 5 სექტემბერი.

ავილესი — მუსეო დე ალტამირა. 199,3 კმ.

1. სერჟიო პაულინიო (პორტუგალია, ასტანა)	4 სთ. 33 წთ. 44წმ.
2. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი)	+2 წმ.
3. ხავიერ ფლორენსიო (ესპანეთი, ბურგოს ტელეკომი)	+2 წმ.
4. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, ილეს ბალეარსი)	+6 წმ.
5. ფრანსისკო ხოსე ვენტოსო (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+7 წმ.

საერთო ჩათვლა

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	41 სთ. 19 წთ. 09 წმ.
2. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+27 წმ.
3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+44 წმ.
4. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+56 წმ.
5. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა)	+1 წთ. 38 წმ.

დედოფლის ეროვნული წილი

მძლეოსნებს ხელ-ფეხი გაეხსნათ

საქართველოს ეროვნული სტადიონის ფერისცვალებამ ფეხბურთელების გარდა სპორტსმენთაგან თუ ვინმე გაახარა, ეს, უწინარეს ყოვლისა, მძლეოსნური საზოგადოება იყო

გადრე ჯეიმლაძის ფოტო

— თვრამეტი წელიწადია, რაც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, მაგრამ ამ სფეროში ისეთი სიხარული, როგორც ეროვნულ სტადიონის განახლებამ მომგვარა, ჯერ არ განმიცდია — გვითხრა *თამაზ მდივნარაძემ* — შარშან, როცა ვიქტორ სანეევის საიუბილეო თარიღს აღვნიშნავდით, თბილისში ჩამოსულმა უცხოელმა მძლეოსნობის სპეციალისტებმა, მათ შორის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა მთხოვეს, თქვენი სტადიონი დაგვათვალირებინეთო, მაგრამ იმ გაუბედურებულ სარბიელს სირცხვილით როგორ ვაჩვენებდი, ახლა კი გული სიამაყით გვევსება. ამ სტადიონის რემონტი ხელ-ფეხს გაგვიხსნის და, დარწმუნებული ვარ, მძლეოსნობის აღორძინებაც დაიწყება.

— ერთია ვიზუალური მხარე, მაგრამ სულ სხვაა მძლესონური სექტორების საქმეში გამოცდა. მაინც როდის უნდა ველოდოთ მის პირველ ასეთ გამოცდას?

— ამ სტადიონს, როგორც ფეხბურთელთა სარბიელს, უეფამ უკვე მისცა მაღალი შეფასება, ახლა ისეთივე დასკვნა მძლეოსნობის შესაბამისმა საერთაშორისო ორგანიზაციამაც უნდა მისცეს, რაც დიდი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობისთვის ხელ-ფეხს გაგვიხსნის.

— და როდის უნდა ველოდოთ იააფ-ის ჩინოვნიკთა ვიზიტს?

— ეს უკვე სტადიონის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, თუმცა მანამდე, დაახლოებით ერთ თვეში ვაპირებთ ვიქტორ სანეევის პრიზის გათამაშებას, რომელზეც, უკვე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან ერთად ჩვენივე უახლოესი მეზობლები, აზერბაიჯანისა და სომხეთის, აგრეთვე ისრაელის წარმომადგენლები გამოვლენ. ალბათ, რუს მძლეოსნებსაც ვიხილავთ, სხვები კი ვნახოთ...

— მათ სტუმრობას, ალბათ, როგორმე გავუძლებთ, მაგრამ ბოლო დროს რამდენიმე ინტერვიუში გვითხარით, რომ უფრო დიდი შეჯიბრებების სამასპინძლოდაც იბრძვით, მაგრამ საამისოდ ხომ სპორტსმენთა მოთელვისთვის თვალს მოფარებული მძლეოსნური სექტორების მოწყობა და კიდევ მრავალი ინვენტარიცაა საჭირო.

— მძლეოსნური სექტორების მოწყობა იქვე, მუშტაიდის ბაღისკენ მდებარე ხელოვნურსაფარიან ფეხბურთის მოედანთან შეიძლება და სადაც ამხელა საქმე გაკეთდა, იმედია, პრობლემა არც ეს იქნება. რაც შეეხება ინვენტარს, მათ შესაძენად „დინამო ინვესტის“ პრეზიდენტ გოჩა ძასოხოვსა და სტადიონის გენერალურ დირექტორ ირაკლი მეძმარიაშვილს ჯერჯერობით თხოვნას ვერ ვუბედავთ, რადგან ამ ბაზის რემონტს დიდძალი ფინანსური რესურსი და ენერგია შეალიეს, რისთვისაც ულრმესი მადლობის მეტი რა გვეთქმის, თუმცა ერთმაც და მეორემაც არანაკლებად კარგა იციან, რომ სტადიონი მძლეოსნური ინვენტარითაც უნდა აღიჭურვოს. მეძმარიაშვილი მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს დასწრებია და ეს ბევრს ნიშნავს, ორივე ერთად კი არაერთხელ ყოფილა ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მძლეოსნობა ამ გრანდიოზული შეჯიბრებების გვირგვინია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენი სპორტის ხელმძღვანელებმა ხშირად უნდა იარონ ასეთ უდიდეს შეჯიბრებებზე. ოღონდაც, ეს ყოველივე იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილები ვიქნებით. რაღაც გარკვეული მძლეოსნური ინვენტარი უკვე გვაქვს და დანარჩენის შესაძენადაც ნაბიჯებს ვდგამთ. და თუ აქამდე სხვადასხვა ქვეყნების მძლეოსანთა ხელმძღვანელები გვთხოვდნენ, ამა და ამ შეჯიბრების მასპინძლობის უფლებისთვის მხარი დაგვიჭირეთო, ახლა ასეთივე ამბიციები თავად გვაწუხებს. ეს ყოველივე ნაყოფს გამოიღებს და მძლეოსნობა საქართველოს საზოგადოების ყურადღებას და მზრუნველობას დაიმსახურებს, მანამდე კი ჩვენი აქტიურობა სულ უფრო იზრდება.

— მაინც რაში გამოიხატება ეს აქტიურობა?

— თუნდაც სხვადასხვა სიმპოზიუმებსა და სემინარებში ჩვენი უფრო აქტიური მონაწილეობითა და შეჯიბრებებში მეტი ინტენსივობით გამოსვლაში. აი, ახლაც ჩვენი სამი მძლეოსანი, დუშელი გიორგი შეკველიძე, ბათუმელი ქეთინო კუპატაძე და ფოთელი ჯეირან ხოფერია შავი ზღვის ქვეყნების წარმომადგენელთა ერთთვიანი ზემარათონული გარბენისთვის ემზადებიან, რომლის ერთ-ერთ ეტაპს ფოთიდან ბათუმამდე ჩვენც ვუმასპინძლებთ. მას მოჰყვება სოჭში გასამართი კავკასიის თასის გათამაშება, რომელსაც გაისად თბილისშიც ვუმასპინძლებთ. ამ საქმის ინიციატორი კი ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მაია აზარაშვილი გახლავთ და სხვაც ბევრი გეგმები გვაქვს.

ავთანდილ ბყვიშელი

გადრე ჯეიმლაძის ფოტო

განახლებული ეროვნული სტადიონის გახსნა მძლეოსნებს ფეხბურთელებზე ნაკლებად არ გახარებიათ



ირაკლი ლაბაძე კორტებს უბრუნდება

გადრე ჯეიმლაძის ფოტო

ლაბაძე გმრმანიაში, ჩახნაშვილი იტალიაში

ირაკლი ლაბაძემ მისთვის მეტად წარმატებული უიმბლდონის შემდეგ, და შეგახსენებთ, რომ ინგლისურ ბალახზე ირაკლიმ კვალიფიკაციიდან დაიწყო, მეოთხე წრეს უწია და მხოლოდ იქ დამარცხდა მომავალ ფინალისტ რაფაელ ნადალთან, ოდენ დევისის თასზე ითამაშა, პოლონელთა დამარცხებაში ლომის წილი დაიდო და მას შემდეგ მთელი დრო ქრონიკული და პოლონელებთან მატჩისას გამიზეზებული ტრავმის მკურნალობას მოანდომა.

ამასობაში უნგრელებთან უაღრესად მნიშვნელოვანი სადევისთასო მატჩი მოახლოვდა და ლაბაძემაც შეწყვიტა უქმობა — ამ დღეებში გერმანულ დიოსელდორფში მიმდინარე 25 ათასიან ჩელენჯერზე ითამაშებს.

ტურნირის შემადგენლობა ჩელენჯერის კვალობაზე საკმაოდ ძლიერია, იმდენად, რომ ირაკლი თავისი 160-ე სარეიტინგო ნომრით განთესილთა შორის ვერ მოხვდა. დიოსელდორფში პირველ ნომრად მასპინძელი, **ATP**-ის კლასიფიკაციის 76-ე ნომერი სიმონ გრეულია განთესილი. მის გარდა რეიტინგის პირველი ასეულის კიდევ ორი წარმომადგენელი ითამაშებს — სერბი იანკო ტიპსარევიჩი (92) და ავსტრიელი ოლივერ მარახი (96). ამათ განთესილთა სიაში რუსი ევგენი კოროლიოვი (117), ესპანელი ალბერტ პორტასი (131), ჩეხები ივო მინარი (136), ტომაშ ზიბი (139) და ავსტრიელი პეტერ ლუშჩაკი (141) მოჰყვებიან.

ლაბაძე პირველ წრეში ხორვატ ტომისლავ პერიჩს ხვდება და, თუ მოიგებს, მეორე ეტაპზე ან მეხუთე ნომრად განთესილ პორტასს დაუპირისპირდება, ან ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ რუს ევგენი კირილოვს.

ამ კვირაში საკმაოდ წარმომადგენლობით, 50 ათასიან ტურნირზე ითამაშებს საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილიც. ჩრდილოეთ ამერიკაში წარუმატებელი ვოიაჟის შემდეგ მაკა იტალიას დაუბრუნდა და ახლა პატარა ქალაქ მესტრეს თიხაზე ცდის ბედს. ლაბაძის არ იყოს, სავარაუდოდ, არც ჩახნაშვილი იქნება განთესილთა შორის. ტურნირის მთავარი ფავორიტები კი **WTA**-ს კლასიფიკაციის 53-ე ნომერი, იტალიელი მარია-ელენა კამერინი და უკრაინელი იულია ბეიგელზიმერი (96) იქნებიან.

მონცა მოახლოვდა

კვირას მონცას ლეგენდარული „უტოდრომი ნაციონალე“ 56-ედ უმასპინძლებს მთელ დუნიაზე უსწრაფეს მძღოლებს.

მაგრამ იტალიის საპირველფორმულო დიდ პრიზზე მეტად, სადღეისოდ, ყველას მიხაელ შუმახერის ყოფნა-არყოფნის საკითხი აღელვებს. მოგეხსენებათ, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა კარგა ხნის წინათ გამოგვიცხადა, „სამეფო რბოლებში“ ჩემს წასვლა-დარჩენის ამბავს სწორედ მონცაში გაჯირითების შემდეგ შეიტყობთო.

ჟურნალისტებს ეს ცუდად ენიშნათ, ჩანს, შუმის წასვლა მართლა გადაუწყვეტია და უკვე იტალიური ეტაპის მერე გავა პენსიაზეო. ეს მილანის „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიაა. ვერ დავეთანხმებით იტალიელი კოლეგების მოსაზრებას, რადგან „წითელი ბარონი“ ის კაცი არაა, ბრძოლა ნახევარ გზაზე, მით უმეტეს, ფინიშამდე სულ რაღაც სამი რბოლით ადრე მიატოვოს. იმიტომ, რომ იგი უმაღლესი დონის პროფია და იმიტომაც, რომ მერვე ტიტულის შანსს ინარჩუნებს ლიდერ ფერნანდო ალონსოსთან 12-ქულიანი პასივის მიუხედავად.

თანაც მიხაელმა მონცას წინ დაგვაიმედა, წინ კიდევ ოთხი ეტაპია და ორივე, პირადი და კონსტრუქტორთა თასის ტიტულების მოპოვების კარგი შანსი გვაქვსო: „ჩვენი სტრატეგია შეტევაა, უნდა შევამციროთ მეტოქეებთან ჩამორჩენა და საამისოდ ყოველ რბოლაში „რენოს“ უმწვავესად უნდა შევუტიოთ. „ფერარი“ პირველად არაა ამგვარ სიტუაციაში და, დარწმუნებული ვარ, წინა წლების წარმატებული გამოცდილება ძალიან დაგვეხმარება“.

ალონსოსაც მოვუსმინოთ: „წლეულს მე გავიმარჯვე სილვერსტოუნში, მონაკოსა და ესპანეთში და ძალიანაც მინდა, პირველი ვიყო ლეგენდარულ მონცაში, მით უმეტეს, რომ ეს იქნება გამარჯვება „ფერარის“ ტრასაზე.

ფერარელები ბოლო რბოლებში ძალიან ძლიერები იყვნენ და ამდენად, ვეცდებით, მათ ვაჯობოთ დარჩენილ ეტაპებზე.“

გია ახალაძე

US OPEN 2006 **ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $** US OPEN 2006

მკვლელი ამელი

გასეირნება სერენას გავლით

კაცები

მესამე წრე

ტომი ჰაასი (14, გერმანია) — **რობი ჯინეპრი** (18, აშშ) 7:6 6:4 3:6 3:6 7:6; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **ოლივიე როხუსი** (26, ბელგია) 6:3 6:2 6:3

მეოთხე წრე

ენდი როდიკი (9,აშშ) — **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) 6:3 6:4 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (15, ავსტრალია) — **რიშარ გასკე** (25, საფრანგეთი) 6:4 6:4 4:6 3:6 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **ტომი რობრედო** (6, ესპანეთი) 6:2 6:0 6:1; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) 6:1 7:6 6:4

ქალები

მეოთხე წრე

ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — **სერენა უილიამსი** (აშშ) 6:4 0:6 6:2; **დინარა საფინა** (12, რუსეთი) — **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) 6:0 7:5; **მარია შარაპოვა** (3, რუსეთი) — **ნა ლი** (24, ჩინეთი) 6:4 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (27, საფრანგეთი) — **ანა ჩაკვეტაძე** (23, რუსეთი) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (19, სერბეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (6, რუსეთი) 6:7 6:3 6:2; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — **არავანე რეზაი** (საფრანგეთი) 7:5 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (10, აშშ) — **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) 6:4 6:4; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (2, ბელგია) — **შაჰარ პირი** (21, ისრაელი) 6:1 6:0

აქამდე ვინმეს თუ კიდევ ეპარებოდა ეჭვი ამელი მორესმოს შესაძლებობებში, ამიერიდან ჩაჩუმება მოუწევს. მხარბეჭიანმა ფრანგმა იმდენად ჭკვიანურად, დამაჯერებლად და კარგად გათვლილი ტაქტიკით მოუგო მანამდე "ფლეშინგ მედოუზის" კორტებზე სტელსივით მფრინავ სერენა უილიამსს, რომ უეჭველად ტურნირის უმთავრეს ფავორიტად უნდა ჩაითვალოს.

ამელიმ აშკარად მაგნო თავისი წარმატების ფორმულას — სწორედ ასე მოიგო წლეულს ორი სლემტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი და უკვე ნაცადი გზით აგრძელებს სვლას. ფრანგი ისევ და ისევ მეორე სათამაშო კვირიდან უმატებს და საწყის წრეებში განვლილი წვალების შემდეგ ისევ ძველებურად მძლავრად ჩოგნობს.

არადა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნომერია, ამელი სერენასთან ფავორიტად არ ითვლებოდა. როგორც უკვე ითქვა, უმცროსი უილიამსი მართლაც კარგ ფორმაში ხვდებოდა შეხვედრას და მეორეც, გუშინდლამდე ნათამაშებ 10 ურთიერთშეხვედრაში ამერიკელს 9-ჯერ მოეგო.

თუმც არა წლეულს, როცა მორესმო უძლიერესად თამაშობს. გუშინ კი ფრანგმა სერენა უპირველესად ჭკუით დაჯაბნა. ჯერ იყო და ამელიმ ძლიერ სტარტზე გააკეთა აქცენტი და ჩანაფიქრი აისრულა კიდეც — ბრეიკი თავიდანვე გაახერხა და სეტის ბოლომდეც შეინარჩუნა. მეორე პარტიაში ფრანგი მიყუჩდა და სერენამაც გაილაღა.

ამერიკელს არ სჭირდებოდა, მაგრამ მაინც გახელებელი დარბოდა კორტზე და ამიტომ სეტი ნულზე მოიგო. მორესმო კი რას აკეთებდა? თითქოსდა არაფერს. ჰოდა, გადამწყვეტი პარტიის დაწყებისას, როცა უილიამსს ეგონა, ყველაფერი ხელთ მაქვსო, დასვენებულმა ფრანგმა მეორე სიჩქარე ჩართო და შავი ამერიკელი უკანაც ჩამოიტოვა და ჩემოდნებიც ჩაალაგებინა.

სხვა მხრივ კი ყველა ფავორიტმა იმარჯვა სვეტლანა კუზნეცოვას გარდა. რუსი ელენა იანკოვიჩმა შეიწირა, რომელმაც ნიკოლ ვაიდიშოვას მეორე მაღალნომრიანი განთესილიც მიაყოლა. სერბი ახლა კიდევ ერთ რუს, მარიას სახით დემენტიევაზე ილუსავს კბილებს.

ისე, პატი შნიდერის წაგებაც თითქოს მოულოდნელობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შვეიცარიელმა ლინდსი დევენპორტთან წააგო, ეს კი კანონზომიერება უფროა.

კვლავ ნარნარად მიქრის უმაღლესი მიზნისკენ მარია შარაპოვა. მართალია, რუს პრიმას პირველი სეტის დასაწყისში ჩაეძინა ნა ლისთან და ჩინელი 4:1 გაუშვა წინ, მაგრამ მერე ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო. მეორე სეტში კი მაშას პრობლემები აღარ შექმნია.

კაცებში ენდი როდიკმა მასპინძლებს ანდრე აგასის ჯავრი ამოაყრევინა და აწ უკვე ჩოგბურთიდან წასული პროფესორის მძლეველი ბენჯამინ ბეკერი თავისი ყუმბარმტყორცნიდან უსასტიკესად დაბომბა.

დიდი ომი გამართეს ლეიტონ ჰიუიტმა და რიშარ გასკემ. საბოლოოდ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და მეოთხედფინალში ოზი გავიდა, მაგრამ ახალგაზრდა ფრანგს ბოლომდე ბრძოლისა და ლამაზი თამაშისთვის მაინც დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

მეოთხედფინალშია რაფაელ ნადალიც. მალიორკელმა ჯადობიჭმა გამოცოცხლებული ვეტერანი ირჟი ნოვაკი სამ სეტში დასცა და წინ ესპანელთა რისხვად ქცეული, მიხაილ იუჟნი ელოდება. მოსკოველმა აქამდე ჯერ დავიდ ფერერს, გუშინ კი ტომი რობრედოს გამოუყვანა წირვა.

ქაჯა ლომაძვილი

ტომი ჰაასი:

წარმოდგენა არ მაქვს, როგორ მოვიგე

გუშინდელი დღის ყველაზე საინტერესო და დრამატული შეხვედრა ტომი ჰაასსა და რობი ჯინეპრის შორის გაიმართა. ამ სამსაათნახევრიან და ხუთსეტიან ტრილერში გამარჯვება ტრავმიან გერმანელს დარჩა, რითაც ჰაასმა შარშანდელი მარცხისთვის რევანში აიღო.

ნინ კი მარატ საფინის სახით ტომის კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა ელის. სწორედ ამიტომ უინტერესო არ უნდა იყოს ჰაასის შეხედულება განვლილ და მოსალოდნელ ბატალიებზე



— პირველი ორი სეტი უპრობლემოდ მოიგეთ, შემდეგ ორში კი მეტოქემ იმარჯვა, მაგრამ გადამწყვეტი პარტიის ტაი ბრეიკმა თქვენი დომინაციით ჩაიარა. რით ახსნით ამას?

— წარმოდგენა არ მაქვს. უბრალოდ, ასე გამოვიდა. კარგად ვიცოდი, რომ უკან დასახევი აღარ მქონდა და ამიტომაც ვცდილობდი, მაქსიმალურად აგრესიულად მეთამაშა. თან რამდენიმე გათამაშება უშეცდომოდ ჩავატარე, კარგადაც ვაწოდებდი. ამან მომაგებინა კიდეც.

— ჯინეპრისთან ყოველთვის დიდი ბრძოლის გადატანა გიწევთ. შარშანაც ხუთ სეტში გადაწყდა ყველაფერი...

— ნამდვილად, რობისთან სულ ეგრე ვწვალობ. უკვე რამდენიმე ნაღდი ჯახი გავიარეთ. ყოველთვის ბოლოსკენ ირკვევა გამარჯვებულის ვინაობა. თუმც პირად შეხვედრებში უკვე 4:1 მიმყავს. შარშანაც ბევრი ვიომეთ, და მაშინ მას გაუმართლა. დღესაც ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ როგორღაც ტაი ბრეკამდე მივჯახირდი, იქ კი ყველაფერი გამომივიდა, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ.

— კარგი პიროვნული ურთიერთობები გაკავშირებთ ჯინეპრისთან?

— ნორმალური. ხანდახან ერთად ვარჯიში გვიწევს ხოლმე და სულ ეგ არის. ისე ნაღდად არ ვართ, რომ ხშირად ერთად ვსადილობდეთ, ან კიდევ ერთმანეთთან სტუმრად დავდიოდეთ.

— ტრავმა კიდევ გაწუხებთ?

— უჰ, ახლა გაცილებით კარგად ვგრძნობ თავს. ისე, ეგეთი რამ არასდროს მომსვლია. მეხუთე სეტში 5:5-ზე გვერდი ამტკივდა, თან მაგრად. ამასთანავე ღრმად ჩასუნთქვას ვერაფრით ვახერხებდი. მერე ექიმმა მითხრა, შეიძლება, კუნთის გაჭიმვის ბრალი ყოფილიყო. გეიმებს შორის შესვენების დროს მოვახერხე ნორმალური პულსის აღდგენა და, საბედნიეროდ, თამაშის გაგრძელების საშუალებაც მომეცა.

— თქვენ მოთამაშეთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელბსაც ტრავმა მობილიზაციაში ეხმარება და სწორედ ამ დროს უმატებენ, თუ პირიქით, მიღებული დაზიანება გაშინებთ?

— იცით რა, ტრავმა ძალიან მიშლის ხოლმე ხელს, რადგანაც ჯანმრთელობა ჩემი უმთავრესი საზრუნავია. ამ დროს ჩოგბურთისთვის არ მცხელა.

— შემდეგ წრეში მარატი გელით. მასთან დაპირისპირება ძნელი იქნება?

— ძალიან. ის უკანასკნელი ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში კარგად გავიცანი, განსაკუთრებით ამ ზაფხულს, როცა ერთად ვვარჯიშობდით. ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ მასთან შეხვედრის წინ სანერვიულო ყველას ექნება. ის დიდი მოთამაშეა, უძლიერესი პირველი მოწოდება აქვს და როცა ფორმაშია, უკანა ხაზიდან მისნაირად მძლავრად მოთამაშეს ვერსად მოძებნით. ახლა კი მარატი მართლაც კარგ ფორმაშია. თან ის დიდი მოტივაციით თამაშობს, რადგანაც კვლავაც უნდა ელიტაში დაბრუნება. ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რომელ პოზიციაზეა ის ამჟამად. ეს დროებითი მოვლენაა, რასაც მარატი თავისი თამაშითაც ამტკიცებს. გარდა ამისა, მას ორი სლემტურნირი აქვს მოგებული და კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს მიზნის მისაღწევად. ჩვენს შორის ყოველთვის კარგი და დაძაბული შეხვედრები იმართებოდა და ახლაც იგივე იქნება.

— ძნელია ისეთ მოთამაშესთან შეხვედრა, რომელსაც შეუძლია ერთ დღეს პირველი ნომერივით ითამაშოს, მეორე დღეს კი მე-500 ნომერივით?

— დიახ, მართლაც ძნელად პროგნოზირებადია, თუმც, ჩემდა საუბედუროდ, ვიცი, მისგან ხვალ რას უნდა ველოდე — ის ხომ მეოთხე წრეშია, ესე იგი უძლიერეს ფორმაშია. შეხედეთ, მეორე წრეში მეოთხე ნომერ ნალბანდიანს მოუგო,. მარტო ეს რად ღირს.

— მარატზე სპორტული კუთხით ილაპარაკეთ. მისი პიროვნების შესახებ რაღას იტყოდით?

— მაგარი პიროვნებაა. თანაც იუმორის კარგი გრძნობა აქვს და როცა მასთან ერთად ვარ, ყოველთვის ბევრს ვხარხარებ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფარაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაშვილი, ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00